We will try to follow the study of the motives of the transformation of Galaktioni's poetics and represent other aspects of this event. In particular, we would like to highlight the poems, written in a reportage manner, in the 20s. We will discuss "the report" as a flexible and dynamic method of reflecting the reality, it's using in poetic practices. Reportage, as the method of artistic reflection is explained interestingly by Gabriel Garcia Markess (as he came into literature from journalism.)

The poet, who had an ambition to mention the time, wishes to create aesthetics of contrasting idyllic life, in order to make us feel the contemporary hysterical image ("Omnibus", "This Native Wind"...) National poetic figures, dialectal forms, by Galaktioni's masterful technique, is converted to an idea which ties together and unites the each component or fragment) .

Thus the use of this method by Galaktioni is considered as conceptual meaningful poetic way, which is directed as counteraction against the "proletcultural" pathos, sanctioned and supported by the reflection of reality.

შორენა ბოლქვაძე

საქართველო, ბათუმი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გალაკტიონი – რეპორტაჟები წარსულიდან

გალაკტიონის შემოქმედების სიმბოლისტურ პერიოდსა („არტისტული ყვავილები“) და ოცნიანი წლების ლირიკას შორის არაერთმა მკვლევარმა გაავლო წყალგამყოფი და ამასთან საინტერესოდ გაანალიზა პოეტის მიერ სიმბოლისტური ესთეტიკის დაძლევა.

თავისი შემოქმედების სიმბოლისტურ პერიოდში გალაკტიონის მიერ შექმნილი ლირიკული შედეგები უცხო სამყაროსადმი ლტოლვას გამოხატავენ, რაც განიხილება, როგორც სამშობლოსა და მშობელ

ხალხთან გაუცხოება, რის წინაპირობად პოეტის თვითდამკვიდრების პრობლემები, მისი რთული ბავშვობა და ყრმობა მოიაზრება.

ოციანი წლებიდან გალაკტიონის შემოქმედებაში სინამდვილის მიმართ ინტერესი ძლიერდება. ჩნდება ხალხურ კილოზე და მოტივებზე შექმნილი ლექსები. ის უკვე დიალექტის გამოყენებით ქმნის შედეგებს, რაც ნოდარ ტაბიძეს ავტორის რეალური ცხოვრებისკენ მიბრუნების მიმანიშნებლად ჩაუთვლია.

„მაგრამ „პოეტური აზროვნების ტრანსფორმაციის თვალსაზრისით მთავარი მაინც ის იყო, რომ ლიტერატურული სიმბოლიკისა და ასოციაციების პარალელურად გაჩნდა რეალობიდან აღებული სახეები თავისი მრავალფეროვნებითა და მოულოდნელობით“ (დოიაშვილი 2004: 50)

ჩვენ შევეცდებით გავყვეთ გალაკტიონის პოეტიკის ტრანსფორმაციის მოტივების კვლევას და წარმოვაჩინოთ ამ მოვლენის სხვა ასპექტები. კერძოდ, გალაკტიონის ოციანი წლების ლირიკაში გვსურს გამოვკვეთოთ რეპორტაჟული მანერით შექმნილი ლექსები. განვიხილავთ „რეპორტაჟს“, როგორც რეალობის ასახვის მოქნილ და დინამიურ მეთოდს, მის გამოვლინებებს პოეტურ პრაქტიკებში. რეპორტაჟი, როგორც მხატვრული ასახვის ხერხი, საინტერესოდ აქვს განმარტებული გაბრიელ გარსია მარკესსაც (ის ხომ მწერლობაში ყურნალისტიკიდან მოვიდა).

პოეტს, რომელსაც დროის აღნიშვნის ამბიცია გააჩნდა, წარსულის ფრაგმენტების ჩვენებით სურს კონტრასტული, იდილიური ყოფის ესთეტიკა შექმნას, რათა თანამედროვეობის ისტერიული სახე უკეთ შეგვაგრძნობინოს („ომნობუსით“, „ეს მშობლიური ქარია“...). კოლექტიური პრინციპით მონოდებული ეროვნული პოეტური ფიგურები, დიალექტური ფორმები გალაკტიონისეული ვირტუოზული ტექნიკით ლექსში გარდაიქმნება იდეად, რაც კრავს და ამთლიანებს მის თითოეულ კომპონენტს (კადრს, ფრაგმენტს).

ამრიგად, გალაკტიონის მიერ ამ მეთოდის გამოყენებას მივიჩნევთ კონცეპტუალურად გააზრებულ პოეტურ ხერხად, რომელიც მიმართულია, როგორც კონტრაქცია, რეალობის ასახვის სანქცირებული და მხარდაჭერილი – „პროლეტკულტურული“ პათოსის წინააღმდეგ.

LEVAN BREGADZE

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Galaktion Tabidze's Poem „Akaki Tsereteli“ (Poetical observations)

Galaktion Tabidze's (1891-1959) long poem „Akaki Tsereteli“ (1940) is very interesting from the point of view of interrelation between poetical tradition and novation. The poem aims at due assessment of the creative work and public life of Akaki Tsereteli (1840-1915), as a great poet and a leader of the national liberation movement. From the point of view of poetic form, the poem attracts readers' attention, on the one hand, by its basing on (borrowing from, imitating) the forms characteristic for Akaki Tsereteli's poetics (verse structuring rules, rhyming system, vocabulary, word-deriving, syntaxes close to conversation style, etc.), and, on the other hand, by a full (even to the utmost) development of poetic figures existing in Akaki Tsereteli's works in embryonic or less emphasized forms (assonance, dissonance rhyming, enjambment, prosaisms, etc.), which gives an impression of poetic competition with the great predecessor.

ლევან ბრეგაძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

გალაკტიონ ტაბიძის პოემა „აკაკი წერეთელი“ (პოეტიკური დაკვირვებანი)

გალაკტიონ ტაბიძის (1891-1959) პოემა „აკაკი წერეთელი“ (1940) მეტად საინტერესოა პოეტური ტრადიციებისა და ნოვაციების ურთიერთმიმართების თვალსაზრისით. პოემა აკაკი წერეთლის (1840-1915), როგორც დიდი პოეტისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის, შემოქმედებისა და საზოგადო მოღვაწეობის ღირსეულად შეფასებას ისახავს მიზნად. პოეტური ფორმის თვალსაზრისით იგი იმით იქცევა ყურადღებას, რომ, ერთი მხრივ, ეყრდნობა (ესეხება, იმეორებს) აკაკი წერეთლის პოეტიკისთვის დამახასიათებელ ფორმებს (სტროფის აგების წესი, რითმათა სისტემა, ლექსიკა, სიტყ-

ვითნარმოება, სასაუბრო მეტყველებასთან მიახლოებული სინტაქსი...), ხოლო მეორე მხრივ, სრულად, შეიძლება ითქვას, უკიდურესობამდე ავითარებს აკაკი წერეთლის შემოქმედებაში ჩანასახის ფორმით არსებულ თუ შედარებით ნაკლებ აქცენტირებულ პოეტიკურ ფიგურებს (ასონანსური თუ დისონანსური რითმა, ანჟანბემანი, პროზაიზმები...), რაც დიდ წინაპართან პოეტური გაჯიბრების შთაბეჭდილებას ახდენს.

KONSTANTINE BREGADZE

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

“This Century of the Mephistopheles”: Modernist Sensitivity in Galaktion Tabidze’s “Artistic Flowers”

Modernist Literature in Europe and Georgia immediately react to the triple crisis revealed in the modern era – rational cognition, rational subjectivity and rational language, followed by the criticism of these three givens in the modernist literature, including modernist lyrics as well. In their triple criticism the authors of the literary modernism, heavily relied on the Nietzschean criticism of rationality, scientism, monolithic-rational subjectivity and conventional language.

Modernist lyrics both in practice and theory is trying, first of all, to critically approach language, and by rejecting the traditional conventional language and focusing on the “irrational” somewhat to respond to the global spiritual crisis caused by “the death of God” (Nietzsche) and on the other hand, is trying to overcome this crisis and by setting “irrational”, non-conventional language find ways for poetic expansion as well as existential “salvation”.

Galaktion Tabidze’s (1891-1959) “Artistic Flowers” (1919) fully depict the destruction of the solid theocentric and anthropocentric beliefs in the fragile modern epoch and due to it the deconstruction of subjectivity (Ichdissoziation). The collection does not present a strong lyrical “me” with an exact point of view and deep personal passions and emotions, but on the very contrary gives us a dissimilated, dis-harmonic, de-personated lyrical hero.

Consequently, in the onto-textuality of the collection the world is reflected in the way, like it is in the real essence of the universe, which exists beyond the

conscious willingness of the lyrical “me”, isolated and independently from him (without any fichtean flow): So, here we have a situation where in the conscious and understanding of the lyrical hero, being is being established a priori with its dis-harmony, non-cognition and reasonless, that he can neither change it, nor confront and therefore becomes fully suppressed by dis-harmony and an apocalyptic sense. The lyrical hero of “Artistic Flowers” not only exists in dis-harmony, dis-oriented and dissolved world, but fully merges with it and eventually disappears in the non-existence of the onto-textuality of the text.

კონსტანტინე ბრეზაძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

„ეს საუკუნე მეფისტოფელი“: მოდერნისტული მგრძობელობა გალაკტიონ ტაბიძის „არტისტულ ყვავილებში“

მოდერნისტული ლიტერატურა ევროპასა და საქართველოში იმ-თავითვე რეაგირებს მოდერნის ეპოქაში გამოვლენილ სამმაგ კრიზის-ზე – რაციონალური შემეცნების, რაციონალური სუბიექტურობისა და რაციონალური ენის, რასაც მოჰყვა ამ სამი მოცემულობის კრიტიკა მოდერნისტულ ლიტერატურაში, მათ შორის მოდერნისტულ ლირიკა-ში. თავის სამმაგ კრიტიკაში ლიტერატურული მოდერნიზმის ავტორე-ბი დაეყრდნენ რაციონალიზმის, სციენტიზმის, მონოლითურ-რაცი-ონალური სუბიექტურობისა და კონვენციონალური ენის ნიცშესეულ კრიტიკას.

მოდერნისტული ლირიკა პრაქტიკასა და თეორიაში ცდილობს, პირველ რიგში, ენისადმი კრიტიცისტული მიდგომით, ანუ ტრადიცი-ული კონვენციონალური ენის უკუგდებითა და „ირაციონალურ“ ენაზე ორიენტირებით ერთგვარად გამოეხმაუროს „ლმერთის სიკვდილით“ (ნიცშე) გამოწვეულ გლობალურ სულიერ კრიზისს, მეორე მხრივ, ცდი-ლობს დაძლიოს ეს კრიზისი და „ირაციონალური“, არაკონვენციონა-ლური ენის საფუძველზე დასახოს ყოფიერების პოეტური განვრცო-ბისა და ეგზისტენციალური „ხსნის“ გზები.

გალაკტიონ ტაბიძის (1891-1959) „არტისტული ყვავილები“ (1919) ზედმიწევნით ასახავს მოდერნის ეპოქაში მიმდინარე მენტალობის

ცვალებადობით განპირობებულ მყარ წარმოდგენათა, ანუ თეოცენტრისტულ და ანთროპოცენტრისტულ წარმოდგენათა რღვევას და შედეგად ამით გამოწვეულ სუბიექტურობის დაშლას (**Ichdissoziation**), სუბიექტის განპიროვნებას. კრებულში წინა პლანზე გამოდის არა მყარი ლირიკული “მე” საკუთარი მყარი მსოფლმხედველობითა და ღრმა და ამაღლებული პიროვნული განცდებითა და ემოციებით, არამედ აქ უკვე მოცემულია დაშლილი, დისჰარმონიული, დეპერსონალიზებული ლირიკული გმირი.

შესაბამისად, კრებულის ონტოტექსტუალობაში სამყარო ასახულია ისე, როგორც ის არის თავის რეალურ არსში, ანუ სამყარო, რომელიც კრებულის ლირიკული “მე”-ს ცნობიერებისეული ნებელობის მიღმა, მისგან მოწყვეტილად და დამოუკიდებლად ეგზისტირებს (ფიზტიანური ნაკადის გაუქმება): ანუ, აქ გვაქვს ვითარება, როდესაც ლირიკული გმირის ცნობიერებასა და განცდაში ყოფიერება ფუძნდება თავისი აპრიორული დისჰარმონიულობით, უსაზრისობითა და მიზანსმოკლებულობით, რასაც იგი იმთავითვე ვერ ცვლის და ვერ უპირისპირდება, არამედ პირიქით, ამ დისჰარმონიულობასა და აპოკალიფსურობას სრულად ექვემდებარება. „არტიტული ყვავილების“ დესუბიექტივირებული, “განპიროვნებული”, ლირიკული გმირიც სწორედ ასეთ დისჰარმონიულ, დისოცირებულ, დაშლილ სამყაროში ეგზისტირებს და სრულად ატომიზდება მასში, საბოლოოდ ინთქმება და ქრება არარაში, კრებულის ონტოტექსტუალობაში.

RŪTA BRŪZGIENĖ

Lithuania, Vilnius

Mylolas Romeris University

Institute of Humanities and Philosophy

Musicality of Lyrics of Lithuanian Neo-romantic Poet Antanas Miļkinis – Principles of Form

The poetics of Lithuanian neo-romantic poet Antanas Miļkinis (1905-1983) was different in the pre-war and post-war periods of creation. His pre-war lyrics combine the experience of modernistic trends (expressionism, futurism) and the poetics of folk songs, which form the distinctive character of the

poem. The form of A. Мільkinis's post-war poems is stricter and more classical (his work "Psalms" is considered as a peak of creativity of neo-romantic poet). Many researchers (R. Tūtlytė, V. Kubilius, J. Girdzijauskas et al.) emphasize the musicality of his work as an intonation of rhythm, pauses and melodic phrase, and analyze the specifics of versification, but the aspect of a musical form in his works is barely explored. In this study the most important principles of form and musicality in A. Мільkinis's pre-war poetry will be discussed. The work is based on comparative methodology of the works of E. Tarasti, W. Wolf, A. Ambrazas, I. Jankauskienė, D. Hočevar, K. Nastopka, R. Tutlytė, V. Kubilius, R. Malickaitės et al.

РУТА БРУЗГЕНЕ

Литва, Вильнюс

Университет им. Миколаса Ромериса

Музыкальность лирики литовского неоромантика Антанаса Мишкиниса: принципы формы

Поэтика литовского поэта-неоромантика Антанаса Мишкиниса (1905-1983) различалась в основном в довоенный и послевоенный периоды творчества. В его довоенной лирике сочетаются опыт модернистских течений (экспрессионизма, футуризма) и поэтика народных песен, которая формирует самобытный характер стихотворения. В послевоенный период для А. Мишкиниса характерна более строгая, классическая стихотворная форма (его «Псалмы» считаются вершиной неоромантического творчества поэта). Многие исследователи (Р. Тутлите, В. Кубилюс, Ю. Гирдзияускас и др.) подчеркивают музыкальность его творчества, проявляющуюся как интонирование ритма, пауз, мелодической фразы, анализируют специфику стихосложения, однако музыкальный аспект формы в его творчестве остается почти не изученным. В сообщении как раз и будут рассмотрены важнейшие принципы формы в довоенной поэзии А. Мишкиниса, их музыкальность. В работе автор опиралась на компаративистскую методологию, исследования Э. Тарасты, В. Вольфа, А. Амбразаса, И. Янкаускаене, Д. Хочевар, К. Настопки, Р. Тутлите, В. Кубилюса, Р. Малицкайте и других.

PAOLA BUONCRISTIANO

Italy, Rome

Sapienza University of Rome

Doll-Rulers in Russian Modernism: Olesha i Tynjanov

In his well-known essay “Men and Dolls in Saltykov’s satire”, literary critic Vasily Gippius highlighted the presence of “doll-rulers” and “doll-subject” in Saltykov’s works.

In Russian Literary Modernism such doll-rulers are more frequent than in other literatures and represent a peculiar metaphor of mechanized power.

In an attempt to analyze the phenomenon in modernist Russian literature the paper will present some examples from works by Yuri Olesha and Yuri Tynjanov.

ПАОЛА БУОНКРИСТИАНО

Италия, Рим

Римский Университет Сапиенца

Куклы-правители в русском модернизме: на примерах Ю. Олеши и Ю. Тынянова

Известный литературовед В. Гиппиус указал, в своем эссе “Люди и куклы в сатире Салтыкова”, на присутствие в прозе русского писателя, образов кукол-правителей и кукол-поданных.

В русской художественной литературе эпохи модернизма образ куклы-правителя встречается чаще, чем в литературах других стран и представляет собой своеобразную метафору механизированной власти.

В докладе речь идет о произведениях таких писателей, как Ю.Олеши и Ю. Тынянов, на примере которых предпринимается попытка проанализировать это явление в русской модернистской литературе.

ANDREI CHICHKINE

Rome, Italy

University of Salerno,

What can unite the Symbolists and “budetliane”?

Among mythopoetic works of the first quarter of the Twentieth century certain texts stand out as being unrelated to any contemporary or self-oriented categories. But unlike nonobjective art, these works, designed by artists of a «medieval» mindset are concerned with the supertemporal significance of their symbols and seek to intuit an archaist and, at the same time, futurist-utopian basis of reality. (Cf. the works of Velimir Khlebnikov intended to be read in such a key). These masters maintained also that future art will be open to all people, a thesis shared, perhaps paradoxically, by such «inaccessible» artists as Viacheslav Ivanov, Khlebnikov and Mikhail Matyushin.

Parallel to this non-time-and space oriented universalist outlook was the idea of achieving a synthesis of the arts: the very possibility of transmitting visual depiction through sound and sound images – by colour. In artistic practice, this challenge was taken up in the end of the first decade of that century by Aleksandr Scriabin and Mikalojus Ciurlionis and in the 1920s by the «organic» art of Mikhail Matiushin and his school. The religio-philosophical context of these ideas was established by Vladimir Soloviov’s philosophy of pancoherence, and his conception of «holistic knowledge.»

Today we see that some of the traditional historical and literary schemes and terms are no longer as useful as they might have been in the past. For example, can we use the term “futurist” in regard to Khlebnikov and his companions? Although they adopted the principle of “*words in freedom*» («*parole in libertà*”) of Italian Futurism, their style and ideology are radically different from the style and ideology of F. Marinetti. It is quite significant that they rejected the term “futurist” in favour of the self-appellation “budetliane.” Perhaps, it is time to value the term “organic culture” introduced in 1906 by V. Ivanov in his essay “The New Organic Era and the Theatre of the Future”. Apart from V. Ivanov and Khlebnikov, the term can be also applicable to Mandelstam, E. Guro, and Prishvin.

A series of exhibitions in the “Museum of Organic Culture” Kolomna (Moscow region) are dedicated to the refraction of these ideas in art and photography.

The presentation will be followed by the screening of the film created by the “Museum of Organic Culture” (14 minutes) “Mandelstam Bronzes by A. Krasulin” (a synthesis of music, poetry, and minimalist imagery)

АНДРЕЙ ШИШКИН

Италия

Университет Салерно,

Что объединяет символистов и бюджетля?

Ряд мифопоэтических произведений начала XX века находится вне современных им категорий, определяющих их принадлежность к тем или иным художественным школам. Их авторы, в той или иной степени ориентируясь на средневековое искусство, стремились создать символы, обращенные к будущему и пытались объединить архаику и футуристическую утопию в единой реальности (ср. в этой связи творения В. Хлебникова). Они также выдвигали идею необходимости создания «всенародного искусства», эта идея разделялась, иногда достаточно парадоксально, такими «малодоступными» персонажами, как поэты Вяч.И.Иванов, Хлебников, О.Мандельштам и художник и композитор Михаил Матюшин.

Параллельно к этому вневременному универсализму выдвигалась идея синтеза искусств, попытка передать визуальное звуком и звук – цветом. В конце первого десятилетия XX в. такого рода попытка была предпринята Александром Скрябиным и Михаилом Чурлёнисом. Религиозно-философский контекст этих идей – «философия всеединства» В.Соловьёва и его концепция «цельного знания».

В настоящее время можно видеть некую исчерпанность наличествующих историко-литературных схем и традиционных терминов. К примеру, приложима ли дефиниция «футуристы» к Хлебникову и его сподвижникам? Принцип «слова на свободе» («parole il libertà») итальянского футуризма был ими принят как конструктивный принцип, однако как их стиль, так и идеология радикально отличаются от стиля и идеологии Маринетти; не случаен их отказ от термина «футуристы» и автоименование «бюджетлянами». Быть может, настала пора осмыслить термин «органическая культура», обоснованный в 1906 г. в эссе Вяч. И. Иванова «Новая органическая эпоха и театр будущего». Кроме Вяч. Иванова и Хлебникова, этот термин может объединять таких персонажей, как Мандельштам, Е. Гуро, М. Пришвин. Преломлению этих идей в живописи и фотографии посвящены ряд выставок в «Музей Органической Культуры» в Коломне (Московская область).

В конце доклада предполагается показ созданного «Музеем Органической культуры» фильма (14 минут) «Бронзы Мандельштама художника Андрея Красулина» (синтез музыки, поэзии и минималистского изображения)

RAMAZ CHILAI

Georgia, Tbilisi

Iv. Javakhsishvili Tbilisi State University

Decadence, Modernism, or Avant-garde

The development of literature is inseparable from the development of the society. The literary processes of the end of the X IX th and the beginning of the XXth centuries are tightly connected with the historical course of events. Despite the fact that Georgia of that period, because of the objective circumstances, is kept aloof from European socio-cultural and political space, the certain innovation is still apparent among us. The European-style modernism which is not confined only by the literary sphere gives start to its existence.

The characteristic features of the literature in the first half of the XXth century are as follows: the fundamental change of the principles reflecting literary mode of life; tight interrelation with scientific, socio-political, and all-cultural problems; the appearance of literature of different nations worldwide; the extension of literary relations.

The development in cycles, recurrence is characteristic of culture and art in general. Consequently, we think that art appears to be a self-developed system. At the same time, avant-garde, being a tendency, is not a new phenomenon. It always used to appear on the different stages of cultural development. Avant-garde is an immanent feature of art system and it confirms its self-development.

The modernistic period coincided with several important occurrences. They are: the World War, scientific-technical revolution, the worldwide spread of information and communication.

In the art sphere (we mean literature), there are no rules defining its development. The fact that one style is replaced by the other one, appears to be only a tendency of art development.

Neither the appearance of modernism is the result of the effect of any historical regularity. At the same time, we are able to follow the tendencies in the course of historical development that arouse on the brim of the Middle ages and the New Age. Every single tendency or literary process at a concrete time seeks for some kind of support in the precedent systems, that can be named “traditionality”.

რამაზ ჭილაია

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დეკადენსი, მოდერნიზმი თუ ავანგარდი

ლიტერატურის განვითარება განუყოფელია საზოგადოებრივი განვითარებისაგან. XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისის ლიტერატურული პროცესები მჭიდროდ უკავშირდება ისტორიულ ჟამთასვლას. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდის საქართველო, გასაგები მიზეზების გამო, განრიდებულია ევროპულ სოცო-კულტურულ და პოლიტიკურ სივრცეს, ჩვენში მაინც თავს იჩენს ინოვაცია. ფეხს იკიდებს ევროპული ყადის მოდერნიზმი, რომელიც მხოლოდ ლიტერატურული სააზროვნო ველით არ შემოიფარგლება.

XX საუკუნის პირველი ნახევრის ლიტერატურის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებია: ლიტერატურული ყოფის ამსახველი პრინციპების ძირეული ცვლა; მჭიდრო ურთიერთკავშირი სამეცნიერო, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ზოგადკულტურულ პრობლემებთან; სხვადასხვა ეროვნულ ლიტერატურათა მსოფლიო სივრცეში გამოჩენა; ლიტერატურული ურთიერთობების გაფართოება.

კულტურისა და ზოგადად ხელოვნების დამახასიათებელი ნიშანია ციკლურობა, განმეორებითობა, რაც გვაფიქრებინებს, რომ ხელოვნება თვითგანვითარებადი სისტემაა. ასევე, ავანგარდიზმი როგორც მიმართულება, ახალი მოვლენა არ გახლავთ, იგი კულტურის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე იჩენდა თავს. ავანგარდიზმი ხელოვნებისმიერი სისტემის იმანენტური თვისებაა და მის თვითგანვითარებას ადასტურებს.

მოდერნისტული პერიოდი რამდენიმე მნიშვნელოვან მოვლენას დაემთხვა. ესაა: პირველი მსოფლიო ომი, სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია, ინფორმაციის და კომუნიკაციის მასობრივი გავრცელება.

ხელოვნებისმიერ სფეროში (იგულისხმება ლიტერატურაც) არ არსებობს მისი განვითარების განმსაზღვრელი კანონები; ის რომ ერთ სტილს მეორე ანაცვლებს, მხოლოდ ხელოვნების განვითარების ტენდენციაა.

არც მოდერნიზმის გაჩენა გახლავთ რაიმე ისტორიული კანონზომიერების მოქმედების შედეგი. ამასთანავე, შესაძლებელია ხელოვნე-

ბის განვითარებაში იმ ტენდენციების თვალის მიდევნება, რომლებიც შუა საუკუნეების და ახალი დროის მიჯნაზე ჩაისახა. ამ ნიშნით, წინამორბედი სტილური მიმდინარეობებიდან პრინციპულად განსხვავებულმა მოდერნიზმმა, მაინც იმემკვიდრა წინარე „გამოცდილება“. ყოველი ლიტერატურული მიმართულება, გარკვეულ დროს, წინამორბედ სისტემებში ეძებს დასაყრდენს, იმას, რასაც „ტრადიციულობა“ შეიძლება ეწოდოს.

EKA CHKHEIDZE

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Face Symbol of Mirror in Georgian Modernist Poetry (On the example of the works of Valerian Gafrindashvili)

One of the most essential peculiarities should be considered to be the fact that ordinary things gain mystic content, thus they are manifested differently and attach the deciding significance (to perceive the author's devise). While reading Valerian Gafrindashvili's poetry the readers' attention is usually attracted by the universal poetic face symbol – “mirror”, that is transformed from verse to verse, experiencing various transformation, but the main idea of it never changes.

It is gruesome fear, fear of seeing your own face, because the face appears to be absolutely alienated, unacceptable and annoying by its mystery and transcendentalism. The lyrical hero of the poems is on the edge of madness. But this approach to the edge of madness is caused not by psychosis and neurosis (as it happens in the works of Dostoevsky and Gogol), but by imaginary, conventionally admitted poetic reality, displaying nightmare. Therefore this is the pose from some point of view, this is favorite mask for symbolic poetry, and it is linked to one of the most characteristic topics of the modernist art – meeting with own self. But why the acknowledgement of own self is so painful and appalling? And why is it so dangerous at the same time? Allegedly the duel is arranged with own self.

The most gruesome in Valerian Gafrindashvili works is the reflection of the strange face and not “revealing own self”, this is unacceptable and horrid for lyric hero, but at the same time it is acknowledged that mirror reflects the essence and nature of person.

The phenomenon of the mirror with “tsisperkancelebi” (blue horns), as we have already mentioned, is the manifestation of Plato’s transformed thesis: “our life is an ugly reflection of ideal world, that names Plato our genuine homeland” – wrote Valerian Gafrindashvili. He represents human as tragic creature, “exploring own self till death”, but is afraid of meeting with it, as exploring own self is dangerous – normal psychics could not stand it.

ეკა ჩხეიძე

საქართველო, თბილისი

მოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

სარკის სახე-სიმბოლო ქართულ მოდერნისტულ პოეზიაში (ვალერიან გაფრინდაშვილის შემოქმედების მაგალითზე)

მოდერნიზმის ერთ-ერთ არსებით თავისებურებად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ჩვეულებრივი, ყოფითი ნივთები ხშირად მისტიკურ შინაარსს იძენს, ანუ სრულიად ახალი სახით გვევლინება და ნაწარმოების გასააზრებლად (ავტორის ჩანაფიქრის ამოსაცნობად) გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს. ვალერიან გაფრინდაშვილის პოეზიის ზერელე გაცნობის დროსაც კი მკითხველის ყურადღებას უთუოდ მიიპყრობს ერთგვარი უნივერსალური პოეტური სახე-სიმბოლო – „სარკე“, რომელიც ლექსიდან ლექსში გადადის, ათასგვარ ვარიებასა და ტრანსფორმაციას განიცდის, მაგრამ მისი ძირითადი არსი არ იცვლება. ეს არის შემზარავი შიში, შიში საკუთარი სახის ხილვის დროს, რადგან ეს სახე აბსოლუტურად გაუცხოებულა, უცნობია, მიუღებელი ან შემაშფოთებელია თავისი უცნაურობითა და ტრანსცენდენტურობით. ამ ლექსების ლირიკული გმირი სიგიჟის ზღვარზე დგას. მაგრამ ეს მიახლება სიგიჟის ზღვართან გამოწვეულია არა რეალურად არსებული ფსიქოზითა თუ ნევროზით (როგორც ეს ხდება, ვთქვათ, გოგოლისა და დოსტოვსკის შემოქმედებაში), არამედ წარმოსახული, პირობითად დაშვებული პოეტური რეალობის, კომპარის წარმოდგენით. მამასადამე, ეს გარკვეული აზრით, პოზაა, სიმბოლისტური პოეზიისათვის ესოდენ საყვარელი ნილაბია, რომელიც მოდერნისტული ხელოვნების ერთ-ერთ ყველაზე დამახასიათებელ თემას უკავშირდება – შეხვედრას საკუთარ თავთან. მაგრამ რატომ არის საკუთარი თავის შეცნობა ესოდენ მტკივნეული და შემადრწუნებელი? და, ამავე

დროს, რატომ არის ასეთი საშიშიც? თითქოს იმართება დუელი საკუთარ ორეულთან.

ვალერიან გაფრინდაშვილის შემოქმედებაში შემზარავი ის არის, რომ სარკის ჯურღმულიდან „საკუთარი ჩვენება“ კი არა, უცხო სახე ამოტივტივდება, რომელიც ლირიკული გმირისათვის შემზარავი და მიუღებელია, მაგრამ ამავედროულად ცნობირდება ისიც, რომ სარკეში ჩანს არა ანარეკლი, არამედ ადამიანის არსი.

სარკის ფენომენი „ცისფერყანწლებთან“, როგორც უკვე აღუნიშნავთ, პლატონის ცნობილი თეზის სახეცვლილი გამოხატულებაა: „ჩვენი ცხოვრება მახინჯი ანარეკლია იდეალური სამყაროსი, რომელსაც პლატონი ჩვენს პირველყოფილ სამშობლოს უწოდებს“, – ნერდა ვალერიან გაფრინდაშვილი. მას ადამიანი წარმოდგენილი ჰყავს, როგორც ტრაგიკული არსება, „რომელიც სიკვდილამდე თავის თავს დაეძებს“, მაგრამ მასთან შეხვედრის ეშინია, რადგან საკუთარი თავის შეცნობა საშიშია – შეიძლება ნორმალურმა ფსიქიკამ მას ვერ გაუძლოს.

TEIMURAZ DOIASHVILI

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

“Interval” as an Aesthetical Concept

In the program poem, “Ephemera” by Galaktion Tabidze’s post-symbolized period (1922) is used non Georgian origin lexeme “interval” and in the text, it refers to the poetry (“at the poem contest – only intervals”).

In the Galaktionological studies the contextual definition of “interval” is not established. Presumably, on the ground of the phonetic similarity it is identified as “integral”, which is also connected to poetry, however, presents completely different concept.

As a result of the study was established that “interval” with Galaktion is aesthetical concept, which origin takes roots from the polemic, literature-theorized tractate, “A Defence of Poetry” written in 1821 by the greatest English romanticist Percy Bysshe Shelley.

The context of the abovementioned tractate helps us to define how Galaktion Tabidze comprehended the main point and specific of the modern poetry, as well as the creative free idea and the exceptional mission of a poet in the new historical situation, in the beginning of 20s.

თეიმურაზ დოიაშვილი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

„ინტერვალი“, როგორც ესთეტიკური კონცეპტი

გალაკტიონ ტაბიძის პოსტსიმბოლისტური პერიოდის საპროგრამო ლექსში „ეფემერა“ (1922) გამოყენებულია არაქართული წარმომავლობის ლექსემა „ინტერვალი“, რომელიც ტექსტში პოეზიას მიემართება („ლექსთა შეჯიბრებაზე – მხოლოდ ინტერვალები“).

გალაკტიონოლოგიურ კვლევებში „ინტერვალის“ კონტექსტუალური მნიშვნელობა დადგენილი არაა. იგი, – სავარაუდოდ, ფონეტიკური მსგავსების საფუძველზე, – გაიგივებულია „ინტერვალთან“, რომელიც ასევე პოეზიას უკავშირდება, მაგრამ სრულიად განსხვავებული შინაარსის ცნებაა.

კვლევის შედეგად დადგენილ იქნა, რომ გალაკტიონთან „ინტერვალი“ ესთეტიკური კონცეპტია, რომელიც მომდინარეობს დიდი ინგლისელი რომანტიკოსის – პერსი ბიში შელის პოლემიკური ლიტერატურულ-თეორიული ტრაქტატიდან „პოეზიის დასაცავად“ (1821).

დასახელებული ტრაქტატის კონტექსტი გვეხმარება გავარკვიოთ, როგორ ესმოდა გალაკტიონ ტაბიძეს ოციანი წლების დასაწყისში, ახალ ისტორიულ სიტუაციაში თანამედროვე პოეზიის არსი და სპეციფიკა, შემოქმედებითი თავისუფლების იდეა და პოეტის განსაკუთრებული მისია.

TEA DULARIDZE

Georgia, Tbilisi

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

Transformation of a Greek Myth in Guram Dochanashvili's *Only One Man*

The myth of Scairon, killed by King Theseus, has been widely employed in literature since antiquity. This article focuses on *Only One Man*, a story by a modern Georgian writer, Guram Dochanashvili and examines Dochanashvili's

motives for revisiting the myth. This question is conceptualized against the modernist literary practice of revising the old in the new light. Both classical and modern versions of the myth are discussed to expose the modernist dimension of Dochanashvili's story.

Sceiron's existential tragedy consists in his inability to love, which repeats in Dostoevsky's famous words: "[Hell is] the suffering of being unable to love". In contrast to this suffering, Dochanashvili invokes the eternity of art and love, as expressed in passages addressed to Anna Magnani.

The story is introduced by an extract from Plutarch that describes Sceiron and cites different versions of the Megarians. Each of the twelve chapters of the story starts with an affectionate monologue to Anna Magnani and proceeds with stories about Scieron. Dochanashvili's modernist interpretation of the myth consists in showing gradual transformation of the evil character and his regrets over the failure to find love. As Sceiron encounters Theseus, his only emotion is sorrow for losing a chance to reach love.

Apart from the traditional epithets of Greek and Roman mythical characters lavishly mentioned in the story, Dochanashvili also uses epithets fossilized in ancient poetic thought, which can be seen as another important novelty proposed by the Georgian writer.

თეა ღულარიძე

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანტიკური მითის ტრანსფორმაცია გურამ დოჩანაშვილის მოთხრობაში „მხოლოდ ერთი კაცი“

ძველ ბერძნულ მითოლოგიაში ერთ-ერთი ცნობილი ფიგურა სკირონია, რომელიც ათენის მეფემ, თეზევსმა მოკლა. ჯერ კიდევ ანტიკურობაში ხდებოდა სკირონის მითის გადამუშავება ისეთ ავტორებთან, როგორებიც იყვნენ პლუტარქოსი, პავსანიასი, ფსევდო-აპოლოდოროსი და სხვ. თუმცა ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, როგორ არის გააზრებული ეს ტრადიციული მითი გურამ დოჩანაშვილის მოთხრობაში და რატომ გამოიყენა ავტორმა ანტიკური ვერსია სკირონის ახალი სახის შექმნისათვის? როგორც ცნობილია, მოდერნიზმისათვის დამახასიათებელია ძველის გააზრება თანამედროვე

კონტექსტში. ამდენად, ნაშრომში ყურადღებას შევაჩერებთ ტექსტის როგორც კლასიკურ, ისე თანამედროვე ვერსიებზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რა არის მათ შორის მსგავსება და განსხვავება და რაში მდგომარეობს ამ მოთხრობაში მითის მოდერნულობა?

სკირონის მსოფლმხედველობრივი ტრაგედია არის ის, რომ მას სიყვარულის არსებობის არ სჯერა, რასაც ზუსტად ეხმიანება დოსტოვესკის სიტყვები: „ჯოჯოხეთი არის ტკივილი იმის გამო, რომ აღარ გალგის სიყვარული“. გურამ დოჩანაშვილი ამ ტკივილს უპირისპირებს ხელოვნების მარადიულობასა და სიყვარულს, რომელსაც ანნა მანიანისადმი მიძღვნილ სიტყვებში გამოხატავს.

მოთხრობას „მხოლოდ ერთი კაცი“ წინ უძღვის პლუტარქოსის ის ადგილი, სადაც სკირონია დახასიათებული და მის შესახებ მეგარელი ისტორიკოსების სხვადასხვა ვერსიასა გამოცემული. ნაწარმოების თითოეული თავი ანნა მანიანის მიმართ ძალზე დიდი სიყვარულის მონოლოგით იწყება, რასაც მოსდევს თხრობა სკირონის ამბების შესახებ. ამ მოთხრობის მოდერნულობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ეს ტრადიციულად უარყოფითი ფიგურა – სკირონი, რომელიც გამვლელ-გამომვლელებს ძარცვავდა, ფეხებს აბანინებდა, შეუბრალებლად ხალხს ზღვაში ყრიდა, თანდათან განიცდის ტრანსფორმაციას. იგი ვერ ეგუებოდა, რომ „სიყვარული არ იყო, არა“. თეზესთან შეხვედრის შემდეგ კი მის თვალებში ერთადერთი სინანული ჩანდა, რომ იგი სიყვარულამდე ვერ მიაღწევდა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ მოთხრობა მდიდარია ძველი ბერძნული და რომაული მითოლოგიური პერსონაჟებით და მათი ტრადიციული ეპითეტებით. თუმცა უხვად გვხვდება აგრეთვე ანტიკურობის პოეტიკაში ჩამჯდარი ეპითეტები, რომლებიც მწერლის კიდევ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინოვაციას წარმოადგენს.

KETEVAN ELASHVILI

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Wine as a Destiny

Artistic language of modernism represented “intellectual epatage” – aggravated by the picturesque aspect, and that, from its part, created the feeling of “culturological discussion” and relevantly, completely new space of thinking was liberated – “deriving” the perception from chrestomathic, philosophical and literary “references”. Such range of artistic vision suggested the author free “format” of literature, including the creative depth, of course.

This was the case of Galaktioni as well, who set the uncommon “winespeech” poetics, because wine was the destiny for him and had completely trapped his biography. Perhaps that’s why Galaktioni perceived wine as his vital “principle” and forever dizzy, was waiting for the lustration of his restless soul till the “serenest wine color” and for the creative coziness.

Although wine was some kind of mask for him, his temporary exit from chaos, escaping in the inmost recesses of his soul, not saving it, but anguish (“soul was crying for blue wines”), as in the moment of great grief he was disguising thoroughly by the same wine (“they will blame the wine”).

As we can see Galaktioni himself was showing duality while separating with wine and that brought the puzzle that he was never seen in a role of the traditional toast-master – self-complacent “with sumptuous toasts”. Perhaps that is why we should perceive his inebriation From Mikheil Kveselava’s standpoint: “If Galaktioni was drunk – he was drunk with poetry, singing, music, feelings...” although this does not excludes that “inebriation” was perceived by him as some kind of “completeness” or one of the phenomena of overcoming his existential fear...

And still what was wine for Galaktioni?!

He had not chosen the path of Paul Valéry’s “intellectual inebriation”, nor was he absorbed by the infinity of “wine hour” by Baudelaire’s meditations.

Paradoxically, wine for Galaktioni was the survival instinct of “poetic dignity” – covered by the occultism of destiny.

ქეთევან ელაშვილი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ღვინო როგორც ბედისწერა

მოდერნიზმის მხატვრული ენა წარმოადგენდა „ინტელექტუალურ ეპატაჟს“ – გამძაფრებულს სახისმეტყველებითი ასპექტით, რამაც, თავის მხრივ, წარმოშვა „კულტუროლოგიური დისკურსის“ განცდა. და შესაბამისად, გამოიკვეთა სრულიად ახალი სააზროვნო სივრცე – შემეცნების ერთგვარი „გაყვანა“ ქრესტომათიული ფილოსოფიური თუ ლიტერატურული „ბმიდან“. მხატვრული ხედვის ეს დიაპაზონი კი – ავტორს უკვე თავისუფალ ლიტერატურულ „ფორმატს“ სთავაზობდა, ბუნებრივია, შემოქმედებითი სიღრმის გათვალისწინებით.

ასე იყო გალაკტიონის შემთხვევაშიც, რომელმაც დაამკვიდრა ღვინისმეტყველების უჩვეულო პოეტიკა, რადგან მისთვის ღვინო ბედისწერა იყო უმთავრესად და სრულიად ჩიხში აქცევდა პოეტის ბიოგრაფიას. ალბათ, ამიტომაც მიიჩნია გალაკტიონმა ღვინო საკუთარი ცხოვრების „ზნედ“ და მარადშემთვრალი ელოდა „უანკარეს ღვინის ფერამდე“ მბორგავი სულის დაწმენდასა თუ შემოქმედებით სიმყუდროვეს.

არადა, მისთვის ღვინო ერთგვარი ნიღაბიც იყო, დროებით გასვლა ქაოსიდან, „ლექსის სამალავში“ თავის განრიდება, მაგრამ არა სულის ხსნა, არამედ ტანჯვა („სტიროდა სული ცისფერ ღვინოებს“)... გალაკტიონი, გზააბნეული ბავშვივით, დიდი მწუხარების ჟამსაც იმავ ღვინით ინიღბებოდა საგულდაგულოდ („ღვინოს დააბრალებენ“).

როგორც ვნახეთ, თავად გალაკტიონი გარკვეულ ორაზროვნებას იჩენდა ღვინოსთან განაპირების ჟამს და სწორედ ამან წარმოშვა ის თავსატეხიც, რომ გალაკტიონი ტრადიციული თამადის როლში – „კაზმული სადღეგრძელოებით“ თვითმტკობი აროდეს უნახავს არავის. ეგებ იმიტომ, რომ მიხეილ კვესელავას თვალსაწიერიდან უნდა აღვიქვათ მისი მემთვრალეობა: „გალაკტიონი თუ რამით იყო მთვრალი – პოეზიით, სიმღერით, მუსიკით, გრძნობით...“ თუმცა ეს სრულიად არ გამოორიცხავს, რომ „თრობა“ მისთვის „სისავსის“ ერთგვარი განცდაც ყოფილიყო, ანდა „ეგზისტენციალური შიშის“ დაძლევის ერთ-ერთი ფენომენიც...

და მაინც რა იყო ღვინო გალაკტიონისათვის?!

ის ხომ ბოლომდე არც პოლ ვალერისეული „ინტელექტუალური თრობის“ გზას ადგა და არც ბოდლერისეული მედიტაციებით „ღვინის საათის“ უსასრულობაში („რომელი საათია?!)“ იკარგებოდა.

რაც არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, ღვინო გალაკტიონისათვის „პოეტური ღირსების“ თვითგადარჩენის ინსტიქტი იყო – ბედისწერის ეზოთერიზმით დაბზურული.

MAKA ELBAKIDZE

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Leo Kiacheli's *Escalade* and a Concept of Bakhtin's Carnivalization

The small Swiss town described in Leo Kiacheli's *Escalade* seems as though the outside world reflected in the “symbolist mirror” – a domain of fantastic masks the true essence of which is mirage and emptiness (“Isn't the humankind fighting in vain? Isn't it clinging to some ideal which in the end turns out to be the same nonsense as my mask hanging on the tree and my red and orange mantle!...). This is the carnival reality which is imprinted with several signs characteristic to this culture:

1. According to Bakhtin's theory, a carnivalistic world is dual and “topsy turvy” (upper/ lower space, serious/laughter, daily/festive). All that is colorless and ordinary in everyday life acquires sacral status during the carnival (“each reality is a performance and each performance is a reality”);

2. The carnival world is universal. It has a particular chronotope, but every person gets an opportunity to become a part of this festival quite naturally;

3. The free nature of carnival. The main characteristic of this phenomenon is considered the carnival freedom, disregard for corporative rules and social norms (“There was a festive mirth around me, free, unrestricted and crazy”).

4. Mask as a guarantee of anonymity plays a leading role. It covers not only the true face of a man, but also equips it with other mask (“Everyone was wearing a mask on their face. Fantastically decorated. They shouted, whistled and drank toasts “);

5. Laughter performs a major role in the carnival culture, as a mechanism of revaluation of values; laughter is a universal, public, ambivalent, utopian, a contemplator of the universe;

6. During the carnival there is no distinction between actors and spectators - everybody are involved irrespective of age, gender and social status (“old and young, everybody rejoice this evening, both the street and café were overcrowded”), hence, the carnival is the life itself (“If it is a reality then what would be a performance?”).

It may be said that Leo Kiacheli’s novel expresses the very essence of the theory of carnivalization - the complexity of the principles of man’s inner world outlook and spontaneous-dialectical interpretation of the phenomenon of this world.

მაკა ელვაძიძე

საქართველო, თბილისი

მოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ლეო ქიაჩელის „ესკალადე“ და ბახტინის კარნავალიზაციის კონცეფცია

ლეო ქიაჩელის ნოველა „ესკალადეში“ აღწერილი შვეიცარიის პატარა ქალაქი თითქოს „სიმბოლისტთა სარკემი“ არეკლილი მიღმა სამყაროა – ფანტასტიკურ ნიღაბთა საუფლო, რომლის ჭეშმარიტი არსიც მირაჟი და სიცარიელეა („განა ასე ტყუილად არ იბრძვის კაცობრიობა? განა ასე თავდავინწყებით არ ეპოტინება რაღაც იდეალს, რომელიც ბოლოს და ბოლოს ისეთივე სისულელეა, როგორც ხეზე ჩამოკიდებული ჩემი ნიღაბი და წითელ-ყვითლიანი მოსასხამი!..). ეს არის კარნავალური რეალობა, რომელიც აღბეჭდილია ამ კულტურისთვის დამახასიათებელი რამდენიმე ნიშნით:

- ბახტინის თეორიის მიხედვით, კარნავალური სამყარო გაორებულია და „ამოყირავებული“ (ზედა/ქვედა სივრცე, სერიოზული/სიცხლის მომგვრელი; ყოველდღიური/საზეიმო). ყოველივე ის, რაც ყოველდღიურ ცხოვრებაში უფერულია და ჩვეულებრივი, კარნავალისას საკრალურ სტატუსს იძენს („ყოველი სინამდვილე წარმოდგენაა და ყოველი წარმოდგენა – სინამდვილე“);

- კარნავალური სამყარო უნივერსალურია. მას სპეციფიკური ქრონოტოპი აქვს, თუმცა ყოველ ადამიანს ეძლევა საშუალება სრულიად ბუნებრივად გახდეს ამ დღესასწაულის ნაწილი;

- კარნავალის ლალი ბუნება. ამ ფენომენის მთავარ მახასიათებლად მიჩნეულია კარნავალური თავისუფლება, კორპორატიულობისა და სოციალური ნორმების უგულებელყოფა („ჩემს გარშემო საზეიმო მხიარულება სუფევდა, თამამი, შეუკავებელი და გიჟური“).

- მთავარ როლს კარნავალისას ასრულებს ნილაბი – ადამიანურ ქმედებათა ანონიმურობის გარანტი. ის არა მარტო ფარავს ადამიანის ჭეშმარიტ სახეს, არამედ სხვა ნილბითაც აღჭურვავს მას („ყველას ნილაბი ჰქონდა სახეზე აკრული. ფანტასტიურად იყვნენ მორთულნი. ყვიროდნენ, სტვენდნენ, სვამდნენ და სადღეგრძელოებს ამბობდნენ“);

- უმთავრეს როლს კარნავალურ კულტურაში ასრულებს სიცილი, როგორც ფასეულობათა გადაფასების მექანიზმი; სიცილი უნივერსალური, საერთო-სახალხო, ამბივალენტური, უტოპიური, სამყაროს განმჭვრეტი;

- კარნავალისას ადამიანები არ იყოფიან მაცურებლებად და მსახიობებად – მასში ჩართულია ყველა – ასაკის, სქესის და საზოგადოებრივი მდგომარეობის განურჩევლად („დიდსა თუ პატარას, ყველას განსაკუთრებულად მოელხინა ამ საღამოს, როგორც ქუჩაში, ისე კაფეში ტევა არ იყო“), შესაბამისად კარნავალი თვით ცხოვრებაა („ეს თუ სინამდვილეა, წარმოდგენა რა უნდა იყოს?“)

- შეიძლება ითქვას, რომ ლეო ქიჩელის ამ ნოველაში გამოხატული ბახტინისეული თეორიის ძირითადი არსი – ადამიანის შინაგანი სამყაროს მსოფლმხედველობრივი საფუძვლების სირთულე და სამყაროს ფენომენის სტიქიურ-დიალექტიკური გაგება.

MARIAM FILINA

Georgia, Tbilisi

I.Javakhishvili State University, Institute of Slavic Science

Translations of Galaktion Tabidze Poetry into Polish language in Polish Modernism Context

The most intense period of Georgian poetry translation into Polish was a period of 1950-1970-ies. The rich tradition of modernism in Polish literature has identified a particular interest in the Georgian poets of the era of the “Silver Age”, in particular, to the creation of Galaktion Tabidze. In 1957, a well-known poet and translator Severni Pollyak has published a book “One hundred and thirty

poets”, which placed two G.Tabidze poems in translation of Wanda Grodzenska, as well as samples of poetry of Titsian Tabidze and Paolo Iashvili.

Poetry of Galaktion Tabidze was included in all three anthologies of Georgian poetry, published in Poland. It is noteworthy that in the anthology “The ancient Georgian poetry” from the the poetry of XX century was only G.Tabidze with a note submitted by the editor, that Tabidze was “the most outstanding poet of the first half of the century.” Many translations in anthologies were made by the best poets and translators in Poland. In the book “One hundred and thirty poets” was put the translation of “Me and Night”, an anthology of 1961 – 9 of poems, in an anthology of 1974 – 16, including “The Moon of Mtatsminda” and “Blue Horses”.

Analysis of “The Moon of Mtatsminda” and “Mary” translation reveals the successful discoveries and the inevitable loss. Impressionist aesthetics of both works is complicated by the translation of immersion in the world of national images. In “Mary” are less concrete realities, in part so the translation was more successful, though the musical structure of the work in the Polish sound could not be referred to the full. The “Moon of Mtatsminda” set of realities known only to the Georgians, and they are transmitted descriptively, which reduces the aesthetic value of translation. Nevertheless G.Tabidze’s poetry is presented in Poland in details.

МАРИЯ ФИЛИНА

Грузия, Тбилиси

Тбилисский государственный университет им. Ив.Джавахишвили

Переводы поэзии Галактиона Табидзе на польский язык в контексте польского модернизма

Самым интенсивным периодом перевода грузинской поэзии на польский стали 1950-1970-е годы. Богатая традиция модернизма польской литературы определила особый интерес к грузинским поэтам эпохи «серебряного века», в частности, к творчеству Галактиона Табидзе. В 1957 году известный поэт и переводчик Северни Поляк издал сборник «Сто тридцать поэтов», в котором поместил два стихотворения Г.Табидзе в переводах Ванды Гродзеньской, а также образцы поэзии Тициана Табидзе и Паоло Яшвили.

Стихи Галактиона Табидзе вошли во все три антологии грузинской поэзии, изданные в Польше. Знаменательно, что в антологию «Древняя

грузинская поэзия» из поэзии XX века представлен лишь Г.Табидзе с примечанием редактора, что это «самый выдающийся поэт первой половины столетия». Многие переводы в антологиях выполнены лучшими поэтами-переводчиками Польши. В сборнике «Сто тридцать поэтов» помещен перевод «Я и ночь», в антологии 1961 года – 9 стихотворений, в антологии 1974 года – 16, в том числе «Луна Мтацминды» и «Синие кони».

Анализ переводов «Луны Мтацминды» и «Мери» (стихотворений, созданных в один год) позволяет выявить удачные находки и неизбежные потери. Импрессионистская эстетика обоих произведений осложняется при переводе погруженностью в мир национальных образов. В «Мери» меньше конкретных реалий, отчасти поэтому перевод оказался более удачным, хотя музыкальный строй произведения в польском звучании не мог быть передан в полной мере. В «Луне Мтацминды» множество реалий, известных только грузинам и они переданы описательно, что снижает эстетическое значение перевода. Тем не менее поэзия Г.Табидзе представлена в Польше достаточно подробно.

MANANA PKHAKADZE

Georgia, Tbilisi

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

Modernist Tendencies of Hellenistic Literature

Modernist tendencies are observed in Hellenistic world and accordingly, literature created by Alexander the Great which are different from Hellenic. Many new genres created in the Hellenistic world gave the writers (Callimachus, Theocritus, Menander) a great opportunity to demonstrate their own creative works and originality.

Literature appeared to be available only to a small number of educated readers in the cosmopolitan Hellenistic state which was huge as compared to poleis and the principle of modernism “Literature for Literature” became important.

Modernist tendencies are especially noticeable in the creative works of an outstanding representative of Hellenistic literature, “star of Attic New Comedy” (this name given by philologists of Alexandria suggests an essential difference of this genre) – Menander.

Similar to heroes of modernist literature, characters of Menander act in a hostile to people, violent, “heavy and unbearable”, gloomy, sad, incognizable, sporadic, changeable world full of surprises.

The comedy dramatist of the Attic New Comedy demonstrated particular attention to common people, their weakness and helplessness, mistakes, disappointment and misfortunes, sense of loneliness in the diverse world and difficulty of human relations.

Menander offered the experiment of forms and methods in his comedies. Division of plays into five acts became normative in Menander’s comedies and the line of meeting and action of the protagonist with the personage-schemes in the Attic Old Comedy must have provided the grounds for this. Unlike homogenous scenes of the Greek classic drama, the scenes of Menander’s comedies are non-homogenous by their nature.

მანანა ფსაკაძე

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ელინისტური ლიტერატურის მოდერნისტული ტენდენციები

ელინურისაგან განსხვავებულ ალექსანდრე დიდის მიერ შექმნილ ახალ ელინისტურ სამყაროში და შესაბამისად ლიტერატურაშიც მოდერნისტული ტენდენციები შეიმჩნევა. ელინისტურ სამყაროში შექმნილმა ბევრი ჟანრის ახალმა სახეობებმა მწერლებს (კალიმაქოსი, თეოკრიტოსი, მენანდროსი) საკუთარი შემოქმედებისა და ორიგინალობის გამოვლენის დიდი შესაძლებლობა მისცა.

პოლისებთან შედარებით უზარმაზარ კოსმოპოლიტურ ელინისტურ სახელმწიფოში ლიტერატურა მხოლოდ მცირერიცხოვანი განათლებული მკითხველისათვის აღმოჩნდა ხელმისაწვდომი და აქტუალური გახდა მოდერნიზმის პრინციპი: “ლიტერატურა ლიტერატურისათვის”.

მოდერნისტული ტენდენციები განსაკუთრებით თვალში საცემია ელინისტური ლიტერატურის გამოჩენილი წარმომადგენლის “ახალი ატიკური კომედიის (ალექსანდრიელი ფილოლოგების შერქმეული ეს სახელი ამ ჟანრის არსებით განსხვავებაზე მიუთითებს) ვარსკვლავის” მენანადროსის შემოქმედებაში.

მენანდროსის პერსონაჟები მოდერნისტული ლიტერატურის გმირების კვალად (ან მსგავსად) ადამიანისადმი მტრულად განწყობილ სასტიკ, “მძიმე და აუტანელ”, პირქუმ, სევდიან, შეუცნობელ („ფარი“, სტრ. 248, ფრ. 424, 464), ბრმა (ფრ. 463), არაკანონზომიერ („დამქირავებული“ 295, ფრ. „კითარზე დამკვრელი“ ფრ. 8), ცვალებად (ფრ. 348, 630), მოულოდნელობებით სავსე („არეფორა ან ფლეიტისტი“, სტრ. 110) სამყაროში მოქმედებენ.

როგორც ცნობილია, ტომას ელიოტის „ოთხი კვარტეტი“ არ წარმოადგენს უბრალოდ, „პოემას დროის შესახებ“, რომლის თემატიკა უმთავრესად შეიცავს მსჯელობას დროზე, დროის მიერებასა და მარადისობაზე. პოემის ძირითადი სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ ის მკითხველში ზედროულობის განცდას იწვევს, ანუ პოეტიკურადაც აღწევს სწორედ იმ ეფექტს, რომელსაც თემატიკური ხაზების სახითაც აწვითარებს. იდეალური ნაკითხვის შემთხვევაში, პოემა მკითხველის ცნობიერებაში უნდა „აუქმებდე“ კითხვის პროცესში დახარჯულ საათის დროს. ნაწარმოების მთელი პოეტიკა იქითკენ არის მიმართული, რომ კითხვისას, პოემა აღქმულ იქნას იმ ზედროულ პროცესულურ ანმყოში, ან „გაყინულ ნამში“, რომელსაც ჰერმან ჰესე „ესთეტიკურად აღქმულ დროს“ უწოდებდა, ხოლო თომას მანი – „მაგიურ nuncstans“-ს.

„ოთხი კვარტეტის“ ამ უმთავრეს პოეტიკურ ასპექტს ელიოტი ხშირად განიხილავს თავის თეორიულ ნაწერებშიც, სადაცის თვალსაჩინოების მიზნით, მიმართავს მუსიკასთან ანალოგიას. არსებითად, მუსიკალური ნაწარმოების „ერთდროული აღქმის“ შესახებ მსჯელობისას, „მუსიკას“ ის განიხილავს არა როგორც ცალკე ხელოვნებას, არამედ მეტაფორულად, როგორც საერთოდ მხატვრული ფორმის და კერძოდ – მისი საკუთარი პოემის სტრუქტურულსა და მაორგანიზებელ პრინციპს. აღსანიშნავია, რომ მუსიკალური ანალოგიები, მუსი-

კისაგან ნასესხები პოეტიკური სტრუქტურები ხშირად გამოიყენება მოდერნისტული ლიტერატურის ნიმუშებში, როგორც სწორედ ამგვარი, „ზედროული“ ეფექტის მიღწევის საშუალება.

მხატვრული ფორმის „მუსიკალიზაციის“ ეს ტენდენცია თვალნათლივ ჩანს არა მხოლოდ ელიოტის, არამედ ეზრა პაუნდის, ჯეიმზ ჯოისის, ვირჯინია ვულფის, თომას მანის, ჰერმან ჰესეს და სხვათა შემოქმედებაში. „მუსიკალური“ აღქმისა და წარმოსახვის ზედროულობის შესახებ აზრი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად გამოთქმული აქვთ ეპოქის ცნობილ მოაზროვნეებსაც, მათ შორის – კრიტიკოსსა და ესთეტიკოს ნორთროპ ფრაის, სტრუქტურული ანთროპოლოგიის მამამთავარ კლოდ ლევის სტროსს, კომპარატივისტ-რელიგიათმცოდნე მიჩე ელიადეს და სხვებს. მოხსენებაში მე შევეცდები იმის დამტკიცებას, რომ დროისმიერ საგანთა და მოვლენათა „ზედროული აღქმის“ კონცეფცია მოდერნიზმის ეპოქის ლიტერატურული და ესთეტიკური ცნობიერების ერთ-ერთ საფუძველს შეადგენს.

IRAIDA KROTENKO

Georgia, Kutaisi

Akaki Tsereteli State University

Literary Semiotics of Modernism “Fiction Code”

Fiction code is based on two semiotic roots: Fiction Traditionalism and Fiction Modernism. Modernism is clearly marked with the diversity of linguistic code system. That was reflected in the different spheres of art and had the impact on creating the literary code. The existence of complexity while solving these problems is explained by the fact that only in twentieth century, when semiotics was established as an independent branch, appeared some new possibilities of non-metaphoric approach to the languages of non-literary art fields and their influence on modernism literary code. Fiction code of modernism is characterized with the principle of semiotic associative multilayerism. Non-verbal languages of another fields of art influenced on creating literary language model. The following non-verbal languages model the linguistic principles of literary texts. Modern theories, studying the text, enable us to clarify the metatextual characters of modernism fiction code, comparing it with traditional literary code, which is based

on Principle of Horizontality and text connection with modernist fiction model of the world. In this respect, the concept “text” may be discussed in Postmodernism, expand its borders, define the change of cultural code, the relationship of it becomes more active with cultural codes of different fields of art. The subject of interest of this article is to define the interdependence of semiotic concepts: “Text” and “Language” in modernist literature. The work is based on common theories of cultural semiotics.

И.А.КРОТЕНКО

Грузия, Кутаиси

Кутаисский государственный университет им. Акакия Церетели

Литературная семиотика «художественного кода» модернизма

Литература XX века художественно многоязычна, художественный код основывается на двух семиотических осях: художественный традиционализм и художественный модернизм. В модернизме чётко обозначилась смена языкового кода, образной системы, отразилась в различных видах искусства, повлияла на формирование литературного кода. Определение влияний различных семиотических невербальных систем (музыка, живопись, кино) на литературный художественный код модернизма характеризуется противоположными подходами: интеграцией видов искусств, онтологической обособленностью языков искусств. Существенная сложность при решении данной проблемы объясняется тем, что только в XX веке с возникновением семиотики как самостоятельной дисциплины открылись новые возможности неметафорического подхода к языкам нелитературных видов искусства и их влиянию на литературный код модернизма. Типологизация литературного художественного кода модернизма до настоящего времени остается малоисследованной областью литературной семиотики. Художественный код модернизма характеризует принцип семиотической ассоциативной многослойности. На формирование модели литературного языка оказывают влияние невербальные языки других видов искусств, которые моделируют языковые принципы литературного текста. Современные теории текста позволяют уточнить метатекстуальный характер художественного кода модернизма, сопоставить традиционалистический

литературный код, который опирается на принцип линейности и связности текста с модернистической новой художественной моделью мира. С такой точки зрения возможно рассмотрение понятия «текст» в постмодернизме, расширение его границ, уяснение смены культурного кода, в котором обращение к культурным кодам других видов искусств становится более активным. Предметом интереса в данной статье является определение взаимоотношения семиотических понятий «текста» и «языка» в литературе модернизма. Работа опирается на общие теории семиозиса культуры (Р.Барт, К.Леви-Стросс, Ю.Лотман, Д.Кук, С.Лангер и др.)

NONA KUPREISHVILI

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Vakhtang Kotetishvili – To the Principles of New Aesthetics

Vakhtang Kotetishvili began philosophic and aesthetic searches still during the study at St. Petersburg and Tartu University. His first serious article “Black Word” (1916) sent to the editorial office of the magazine “Ganatleba” (Education) is left unpublished. The reason on disfavoring the letter was a sharp critical pathos. Young author was asking immunity of literary space in accordance with Ilia’s strictness, priority of such writing and journalism that would be the criterion of cultural essence of nation.

It is obvious that V. Kotetishvili and his generation used to understand Ilia’s spiritual heritage not as Ilia’s wordless imitativeness, unconsidered veneration of his opinions, but as impulse of constant search of renewal forms, bold polymization with old one in the context of new reality. Exactly under this sign was directed further activity of V. Kotetishvili.

V. Kotetishvili refusing positivism interested in individualistic philosophy of Kant, Nietzsche, Jung and works of celebrated sociologists O. Comte, H. H. Spencer, M. Weber attentively reviews analytical letters of that time famous literary researchers: Ip. Tan, G. Brandes. Though, his critical partiality is built on their different course.

V. Kotetishvili choses principles of psychological (and not psychoanaly-

tical) and ethical criticism (I. Ratiiani), especially disclosed in monography dedicated to Al. Kazbeg. He as a sharer of Arch. Jorjadze's theory of "Fine Lie", also attentively pays attention to literary processes present in Georgian writing as a modernism (letters about G. Tabidze, Gr. Robakidze, P. Iashvili, V. Barnov) and emphasizes revival of word phenomenon under the influence of Russian formalistic school ("seizure of word", "distant").

ნონა კუპარიშვილი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ვახტანგ კოტეტიშვილი ახალი ესთეტიკის სათავეებთან

ფილოსოფიურ-ესთეტიკური ხასიათის ძიებანი ვახტანგ კოტეტიშვილმა ჯერ კიდევ პეტერბურგისა და ტარტუს უნივერსიტეტში სწავლების დროს დაიწყო. მისი პირველი სერიოზული სტატია „შავი სიტყვა“ (1916), გამოგზავნილი ჟ. „განათლების“ რედაქციაში, გამოუქვეყნებელი დარჩა. წერილის დაწუნების მიზეზი მისი მწვავე კრიტიკული პათოსი იყო. ახალგაზრდა ავტორი ილიასებური სიმკაცრით ითხოვდა ლიტერატურული სივრცის ხელშეუხებლობას, იმგვარი მწერლობისა და ჟურნალისტიკის პრიორიტეტულობას, რომელიც ერ-ის კულტურული რაობის საზომი იქნებოდა.

ილიას სულიერი მემკვიდრეობა ვ. კოტეტიშვილსა და მის თანათაობელებს, ცხადია, ესმოდათ არა როგორც ილიას უსიტყვო მიმბაძველობა, მისი შეხედულებების გაუაზრებელი თაყვანისცემა, არამედ ახალი რეალობის კონტექსტში ძველთან თამამი პოლემიზირების, განახლების ფორმების მუდმივი ძიების იმპულსი. სწორედ ამ ნიშნით წარიმართა ვ. კოტეტიშვილის შემდგომი მოღვაწეობა.

პოზიტივიზმის უარყოფელი ვ. კოტეტიშვილი, გატაცებული კანტის, ნიცშეს, შტირნერის, ფროიდის, იუნგის ინდივიდუალისტური ფილოსოფიითა და სახელგანთქმულ სოციოლოგთა ო. კონტის, ჰ. სპენსერის, მ. ვებერის ნაშრომებით, ყურადღებით ეცნობა მაშინდელი ცნობილი ლიტერატურული მკვლევრების იპ. ტენის, გ. ბრანდესის ანალიტიკურ წერილებს. თუმცა თავის კრიტიკულ მიკერძოებულობას მათგან განსხვავებულ მიმართულებაზე აგებს.

ვ. კოტეტიშვილი ირჩევს „ფსიქოლოგიური (და არა ფსიქონალი-

ტიკური) და ეთიკური კრიტიკის“ (ი. რატიანი) პრინციპებს, რაც განსაკუთრებით მჟღავნდება ალ. ყაზბეგისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში. იგი, როგორც არჩ. ჯორჯაძის „მშვენიერი ტყუილის“ თეორიის გამზიარებელი, ყურადღებით ეკიდება ქართულ მწერლობაში მოდერნიზმის ნიშნით მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებსაც (წერილები გ. ტაბიძის, გრ. რობაქიძის, პ. იაშვილის, ვ. ბარნოვის შესახებ) და რუსული ფორმალისტური სკოლის გავლენით აქცენტს სიტყვის ფენომენის აღორძინებაზე („სიტყვის დაპყრობა“, „შორეული“) სვამს.

NESTAN KUTIVADZE

Georgia, Kutaisi

Akaki Tsereteli State University

Literary Fairy Tale in Georgian Modernist Prose

As is known, a clearly structured and complete plot attaches special contextual meaning to a literary fairy tale. Its relevant elements are as follows: a talisman or a magical character. The author's will as well as distinct aesthetic, moral and social problems which can be more or less typical to all the nations and epochs are put in the foreground.

Another unique feature of a literary fairy tale is its organic connection with the folkloric text. When creating a composition the author searches for new contextual, representational and stylistic forms and often determinedly uses the traditional clichés or image-concepts of fairy tale again and again in a new form. It is not a surprise that modernist literature (like Romanticism) became interested in this genre. Moreover, in that period there had been a tradition of literary fairy tale and literature had its best representatives. Also, the fact, that the important function of a myth in the modernist aesthetics could have led the authors to a fairy tale cannot be ignored.

Modernist literature along with the artistic interpretation of chaos and absurdity created by literature itself as well as a terrified, helpless human being facing the universe and history was searching for fixed values. In this discourse the essential point of a fairy tale – good against evil is seen as a dialectical, constant confrontation and not an expression of the crisis of the epoch.

The renewal of the XX century Georgian literature became connected with

modernist aesthetics and was expressed through the diversity of genre and a new narrative technique. Soon after this process a literary fairy tale (different variations) appeared in the Georgian modernist prose as well (N. Lortkipanidze, Gr. Robakidze, Al. Abasheli, T. Tabidze, S. Tsirekidze, S. Kldiashvili ...). Although in the creative works of the Georgian modernist authors this trend is not prevailing, it is a new stage in the development of the Georgian literary fairy tale, which includes the experience of foreign and XIX century Georgian literature in this direction and manifests the artistic skills of the Georgian writers.

ნესტან კუტივაძე

საქართველო, ქუთაისი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლიტერატურული ზღაპარი ქართულ მოდერნისტულ პროზაში

როგორც ცნობილია, ლიტერატურულ ზღაპარს განსაკუთრებულ შინაარსობრივ დატვირთვას სძენს მკაფიოდ სტრუქტურირებული და მთლიანი სიუჟეტი, რომლის რელევანტური ელემენტებია: ჯადო ან ჯადოსნური გმირი. ამასთან წინა პლანზეა წამოწეული ავტორის ნება, გამოკვეთილი ესთეტიკური, მორალური თუ სოციალური პრობლემები, რომლებიც შესაძლებელია ყველა ხალხისა და ეპოქისათვის მეტ-ნაკლებად იყოს დამახასიათებელი.

ლიტერატურული ზღაპრის კიდევ ერთ გამორჩეულ თვისებას მის ფოლკორულ ტექსტთან ორგანული კავშირი წარმოადგენს. ავტორი თხზულების შექმნისას, ახალი შინაარსობრივი, გამომსახველობითი თუ სტილისტური ფორმების ძიებისას ხშირად სწორედ ზღაპრის ტრადიციული კლიშეებისა თუ სახე-კონცეპტების ხელახალ რეპრეზენტაციას მიმართავს და საკუთარ მიზანდასახულებას უქვემდებარებს. მოულოდნელი არაა, რომ მოდერნისტული მწერლობა (როგორც თავის დროზე რომანტიზმი) დაინტერესდა ამ ჟანრით, მით უფრო, რომ ამ პერიოდისათვის უკვე არსებობდა ლიტერატურული ზღაპრის ტრადიცია და ჰყავდა საუკეთესო წარმომადგენლები. ასევე, ვერ უგულვებელვყოფთ იმ ფაქტორსაც, რომ მოდერნისტულ ესთეტიკაში მითისათვის დაკისრებულ მნიშვნელოვან ფუნქციას, ავტორები ზღაპართანაც უნდა მიეყვანა.

მოდერნისტული ლიტერატურა მის მიერ შექმნილი ქაოსისა და

აბსურდის სამყაროს, ამ სამყაროსა თუ ისტორიის პირისპირ მდგარი შეძრწუნებული, დაეჭვებული და უსუსური ადამიანის მხატვრულ ინტერპრეტაციასთან ერთად დროში მყარ ფასეულობებს ეძებდა. ამ დისკურსში ზღაპრისათვის არსებითი – ბოროტისა და კეთილის დაპირისპირება აღიქმება დიალექტიკურ, მუდმივ წინააღმდეგობად და არა ეპოქის კრიზის გამოხატულებად.

XX საუკუნის დასაწყისის ქართული ლიტერატურის განახლება მოდერნისტულ ესთეტიკას დაუკავშირდა და ჟანრობრივი მრავალფეროვნებითა და თხრობის ახალი ტექნიკით გამოიხატა. ამ პროცესის კვლადაკვალ ქართულ მოდერნისტულ პროზაშიც (ნ. ლორთქიფანიძე, გრ. რობაქიძე, ალ. აბაშელი, ტ. ტაბიძე, ს. ცირეკიძე, ს. კლდიაშვილი...) გაჩნდა ლიტერატურული ზღაპარი (სხვადასხვა ვარიაციით). მიუხედავად იმისა, რომ ქართველ მოდერნისტ ავტორთა შემოქმედებაში გამოვლენილი ეს ტენდენცია არაა მასშტაბური ხასიათის, თავად ქართული ლიტერატურული ზღაპრის განვითარებაში თვისებრივად ახალი ეტაპია, რომელიც მოიცავს ამ მიმართულებით არსებულ უცხოური თუ **XIX** საუკუნის ქართული მწერლობის გამოცდილებას და კარგად ამჟღავნებს ქართველ ხელოვანთა მხატვრულ

GOCHA KUCHUKHIDZE

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

One Detail from Galaktion Tabidze's Biography

According to the memories of Georgian emigrant Valiko Chubinidse, Georgia's former Prime Minister Noe Ramishvili in 1927 had created a special group in order to offer Georgian writers moving from the Soviet Union to France for residence. Valiko Chubinidze writes: "Not a long time has passed when Galaktion Tabidze arrived in Paris for attending the world writers' Congress... Simonika Bereziani, Ilia Zdanevich and our Gogi Nozadze came to see him. I don't know exactly if Galaktion Tabidze met them, but by the Noe Ramishvili's instructions, Datiko Sharashidze has visited Galaktion Tabidze... They had a chat. G. Tabidze has refused to move to France for work, – "I'll do more in Georgia" – he answered.

The International Congress for Defense of Culture was held in Paris in 1935. Noe Ramishvili was already dead at this time. Therefore, it has been argued that Valiko Chubinidze's memories in researching of Galaktion Tabidze's biography should not be give a great importance.

It is hard to believe, the information of Galaktion Tabidze's and Datiko Sharashidze's meeting is false, – why should Valiko Chubinidze have made up the story. We should regard that during writing his memories because of his old age Valiko Chubinidze forgot that in 1935 Noe Ramishvili was already passed away, or may be from his point of view this meeting was the fulfillment of the errand given in 1927 by Noe Ramishvili.

According Galaktion's relative Vasil Kikvadze, Galaktion Tabidze told about his invitation to Paris by Georgian emigrants. Probably he met Georgian group also... Valiko Chubinidze's memories give us the possibility to express this opinion.

The similarities of memories of Valiko Chubinidze and Vasil Kikvadze make us think that Galaktion Tabidze has really met to emigrant or emigrants and refused to stay in emigration because he would be more useful in Georgia.

გორა კუჭუსიძე

საქართველო, თბილისი

მოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ერთი დეტალი გალაკტიონ ტაბიძის ბიოგრაფიიდან

ქართველი ემიგრანტის – ვალიკო ჩუბინიძის მოგონების თანახმად, 1927 წელს ემიგრაციაში მყოფ საქართველოს ყოფილ პრემიერ-მინისტრს – ნოე რამიშვილს სპეციალური ჯგუფი შეუქმნია იმისათვის, რომ საბჭოთა კავშირიდან საცხოვრებლად საფრანგეთში გადასვლა შეეთავაზებინათ ქართველი მწერლებისთვის... ამ ჯგუფის შემადგენლობაში ყოფილან თვითონ ნოე რამიშვილი, დათიკო შარაშიძე, ვასო ნულაძე. აქვე ვალიკო ჩუბინიძე წერს: „ამის შემდეგ დიდი დრო არ გასულა, პარიზში, მსოფლიო მწერალთა ყრილობაზე დასასწრებად ჩამოვიდა გალაქ. ტაბიძე. მის სანახავად სხვათა შორის მივიდნენ: სიმონიკა ბერეჟიანი, ილია ზდანევიჩი და ჩვენი გოგი ნოზაძე. არ ვიცი ესენი მილო თუ არა გ. ტაბიძემ, მაგრამ ნოე რამიშვილის დავალებით ის ინახულა დათიკო შარაშიძემ, ერთად ივახშმეს, ზეკრი იმუსაიფეს, გ. ტაბიძემ უარი უთხრა აქ ჩამოსვლაზე სამუშაოდ, იქ მეტს გავაკეთებ“.

მწერალთა კონგრესი პარიზში 1935 წელს გაიმართა, იმ დროს ნოე რამიშვილი ცოცხალი აღარ იყო... ამ ფაქტიდან გამომდინარე, არსებობს მოსაზრება, რომ ვალიკო ჩუბინიძის მოგონებას გალაკტიონის ბიოგრაფიის კვლევაში დიდი მნიშვნელობა არ უნდა მიენიჭოს.

ვფიქრობთ, ძალიან ძნელი დასაჯერებელია, რომ გალაკტიონისა და დათიკო შარაშიძის ურთიერთშეხვედრის ცნობა გამოგონილი იყოს, – გაუგებარია, რისთვის უნდა დასჭირვებოდა ვალიკო ჩუბინიძეს ამ ფაქტის გამოგონება. ჩვენი აზრით, ან უნდა მივიჩნიოთ, რომ ვალიკო ჩუბინიძეს მოგონებების წერის დროს მოხუცებულობის გამო აღარ ახსოვდა, რომ 1935 წელს ნოე რამიშვილი ცოცხალი აღარ იყო, ან, შესაძლოა, ის არის საფიქრებელი, რომ მან გალაკტიონთან დათიკო შარაშიძის შეხვედრა ნოე რამიშვილის მიერ 1927 წელს მიცემული დავალების შესრულებად აღიქვა.

გალაკტიონის ნათესავის – ვასილ კიკვაძის მოგონების თანახმად, გალაკტიონს თვითონ ჰქონია მოთხრობილი, თუ როგორ დაპატიჟეს იგი პარიზში თავისთან ქართველმა ემიგრანტებმა. შესაძლოა, გალაკტიონი ქართველთა ჯგუფსაც შეხვდა... ამ აზრის გამოთქმის საშუალებას ვალიკო ჩუბინიძის მოგონებაც გვაძლევს.

ვალიკო ჩუბინიძისა და ვასილ კიკვაძის ცნობათა მსგავსება, საერთოდ, ეს მონაცემები, გვაფიქრებინებს, რომ გალაკტიონი მართლაც შეხვედრია ქართველ ემიგრანტს, თუ ემიგრანტებს, და მართლაც უთქვამს უარი ემიგრაციაში წასვლაზე იმ მოტივით, რომ საქართველოში დარჩენის შემთხვევაში მეტ სასარგებლო საქმეს გააკეთებდა.

SHARLOTA KVANTALIANI

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Simon Chikovani – from futurism to “communist futurist”

Return of the Georgian writing to “the common school of the world literature” starts with the origin of modernist and vanguard currents in Georgia.

Modernism was the way by means of which new aesthetic culture entered the Georgian literature.

Modernism as “eventual art” (Mikheil Kurdiani) was one of the stages of development in the beginning of XX century.

Word, word magic, symbol, and not the subject to which this word suits, are main for modernism.

Futurism which with claim of new art came from Europe via Russia, turned out to be the most suitable, natural form for Simon Chikovani and is completely young (21 years old) in writing. It begins consolidation with theoretic letters published in “H2SO4” newspaper.

Intuitionism, rich associative thinking, word-making, thought ambiguity, sounds acoustics typical for futurism magically acted on the readers. Simon Chikovani made many masterpieces in this period.

Futurism was considered to be an apologist of bourgeois ideology and the government did not support it. One of the greatest futurists, Mayakovski, to whom the membership of this current was considered as crime, and wanted him to be a “pure” communist, even in 1925 considered himself as “communist futurist”, that is to say, recognized communist realism, but remained a futurist.

The same can be said about Simon Chikovani, he was forced to pay tribute to realism, refuse futurism and became a consolidator of the intellectual poetry in Georgia, but his youth “Sin” – futurism became unforgettable.

Simon Chikovani remade - “realized” numerous futuristic poems. In general, he had a rule to work on a poem even after its printing and factually he created a new version, but in case of futuristic poems this “concession” did not prove to be correct, integrity was broken, sound sounding was lost that deprived the poems the original attractiveness.

შარლოტა კვანტალიანი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

სიმონ ჩიქოვანი – ფუტურიზმიდან „კომფუტამდე“ (კომუნისტური ფუტურისტი)

საქართველოში მოდერნისტული და ავანგარდისტული მიმდინარეობის გაჩენით იწყება ქართული მწერლობის დაბრუნება „მსოფლიო ლიტერატურის საერთო სკოლაში“.

მოდერნიზმი იყო ის გზა, რომლის მეშვეობითაც ქართულ ლიტერატურაში შემოვიდა ახალი ესთეტიკური კულტურა.

მოდერნიზმი, როგორც „მოვლენებრივი ხელოვნება“ (მიხეილ ქურდიანი), განვითარების ერთ-ერთი ეტაპი იყო XX საუკუნის დასაწყისში.

მოდერნიზმისათვის მთავარია სიტყვა, სიტყვის მაგია, სიმბოლო და არა ის საგანი, რომელსაც მიესადაგება ეს სიტყვა.

ფუტურისმი, რომელიც ახალი ხელოვნების პრეტენზიით მოვიდა ევროპიდან რუსეთის გავლით, სიმონ ჩიქოვანისათვის ყველაზე მორგებული, ბუნებრივი ფორმა გამოდგა და სრულიად ახალგაზრდა (21 წლის) მწერლობაში. გაზეთ „H₂SO₄“-ში გამოქვეყნებული თეორიული წერილებით იწყებს დამკვიდრებას.

ფუტურისმისათვის დამახასიათებელი ინტუიტივიზმი, მდიდარი ასოციაციური აზროვნება, სიტყვათქმნადობა, აზრის ბუნდოვანება, ბგერათა აკუსტიკა მომაჯადოებლად მოქმედებდა მკითხველზე. სიმონ ჩიქოვანმა ამ პერიოდში მრავალი შედეგრი შექმნა.

ფუტურისმი ბურჟუაზიული იდეოლოგიის აპოლოგეტად ითვლებოდა და მთავრობა მას მხარს არ უჭერდა. ერთ-ერთი ყველაზე დიდი ფუტურისტი, მაიაკოვსკი, რომელსაც დანაშაულად უთვლიდნენ ამ მიმდინარეობის წევრობას და სურდათ „სუფთა“ კომუნისტი ყოფილიყო, 1925 წელსაც კი თავს „კომფუტად“ თვლიდა, ანუ აღიარებდა კომუნისტურ რეალიზმს, მაგრამ ფუტურისტად რჩებოდა.

იგივე შეიძლება ითქვას სიმონ ჩიქოვანზე, ის იძულებული გახდა ხარკი გაეღო რეალიზმისთვის, უარი თქვა ფუტურისმზე და გახდა ინტელექტუალური პოეზიის დამამკვიდრებელი საქართველოში, მაგრამ დაუფიწყარი აღმოჩნდა მისი საყმანვილო „ცოდვა“ – ფუტურისტობა.

სიმონ ჩიქოვანმა მრავალი ფუტურისტული ლექსი გადააკეთა – „გაარეალიზმა“. საერთოდ, წესად ჰქონდა ლექსზე დაბეჭდვის შემდეგაც ემუშავა და, ფაქტობრივად, ახალ ვარიანტს ქმნიდა, მაგრამ ფუტურისტული ლექსების შემთხვევაში ამ „დათმობამ“ არ გაამართლა, დაირღვა მთლიანობა, დაიკარგა ბგერის უღერადობა, რამაც ლექსებს პირველყოფილი მომხიბვლელობა წაართვა.

MANANA KVATAIA

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Reflection of Feminism Paradigms in Grigol Robakidze's Texts

The world-outlook and tropological vectors of Georgian modernism, as K.Gamsakhurdia puts it, “were again directed at the integration of our culture and writing with the western culture”. Reflection of the innovative artistic metamorphosis of the reality in literature established new style, images, themes and forms which were clearly manifested in creative discourse of the first advocate of Georgian “gospel of modernism”.

Modernist literature has also covered the aspects of feminism into the sphere of literary study. The concept of equality between women and men takes its origin in the depths of centuries. Moreover, according to the oldest texts in various places of the world women occupied a very important position, in fact a superior. The legend of the Amazons narrates about mythical warrior women who excluded men from their tribes. Grigol Robakidze's novels *Falestra* and *Megi* represent an allusive reinterpretation of the myth of these two powers.

In ancient Egypt women had the same legal and economic rights as men granted by law and women could rule the country. G.Robakidze's novel *Nefertiti-Kopf* (*The Bust of Nefertiti*) creates the most powerful expressive image of a legendary Egyptian queen, the image of internal free mystical woman, who determined the fate of Egypt at this time, is revived.

Georgian modernist writer also makes analysis male and female relationship in a new epoch. According to his observation, modern man lacks the power of the sun and a woman has the earmark of earth. However, both of them possess such terrific power which has not yet been defined on the planetary level. The writer remarks that “we are facing new evolution on Earth today, by means of technique invisible evolution is taking place on Earth ... here or elsewhere a new Apocalypse begins” and the race of a new kind of females is formed. Grigol Robakidze penetrates deeply into the depth of the emancipated woman's soul and exactly marks her tragic aspects. The weakness of the power of the sun in the essence of a modern man disintegrates and destructs a woman too; her integrity is broken, – thinks the writer and sees in this the roots of the greatest tragedy.

Various writers reflect this tragedy in different ways. V.Rozanov remarks that N.Gogol describes the image of a man in a rather concrete way whereas he fails to do it with woman's image. Robakidze explains this peculiarity of the writer by the known Gogol's rhythm: 'some creators cannot fill the body of the earth, even experience contempt for it'. In Grigol Robakidze's opinion, Gogol seems to stand without gender. He either bypasses it or touches with dead hand and nothing will come of it.

Henrich Ibsen's protagonist Arnold loves a symbol in the image of a real woman, Irena, an image of a fictitious young lady who is waking up out of the prolonged lethal dream. Here the tragedy of such kind of love is contoured: Arnold cherishes Irena's image raised from the dead but the real woman is in love with a real man and goes into the darkness of oblivion.

Grigol Robakidze appreciates female writers' peculiar style of writing and thinking and manner. He is fascinated with Ana Akhmatova's distinguished, strong talent and unique gift. For him, she is not a poet who is hiding the pain as a man in her creativity, on the contrary, Akhmatova's original individualism is extremely "feminine", intimate and ephemeral.

მანანა კვატანია

საქართველო, თბილისი

მოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ფემინიზმის პარადიგმათა რეფლექსირება გრიგოლ რობაქიძის ტექსტებში

ქართული მოდერნიზმის მსოფლმხედველობრივი და სახისმეტყველებითი ვექტორები, კ. გამსახურდიას სიტყვით, ჩვენი „კულტურისა და მწერლობის დასავლურ კულტურასთან კვლავ ინტეგრირებისაკენ“ იყო მიმართული. რეალობის ინოვაციური მხატვრული მეტამორფოზის რეფლექსირება ლიტერატურაში ახალ სტილს, სახეებს, თემებსა და ფორმებს ამკვიდრებდა, რაც ნათლად გამოვლინდა ქართული „მოდერნიზმის სახარების“ პირველი მქადაგებლის, გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებით დისკურსში.

მოდერნიზტულმა მწერლობამ მხატვრული კვლევის არეალში ფემინიზმის ასპექტებიც მოაქცია. ქალისა და მამაკაცის უფლებრივი თანასწორობის იდეა საუკუნეთა მიღმა იღებს სათავეს. მეტიც, უძველესი

ტექსტების მიხედვით, პლანეტის სხვადასხვა ადგილებში ძალაუფლება ქალებს ეპყრათ. თქმულება ამორძალებზე (ამაზონებზე), მითიურ მებრძოლ ქალებზე მოგვითხრობს, რომელთა ტომში მამაკაცებისათვის ადგილი არ მოიპოვებოდა. გრიგოლ რობაქიძის რომანები „ფალესტრა“ და „მეგ“ ამორძალთა მითის ალუზიურ რეინტერპრეტირებას წარმოადგენს.

ძველ ეგვიპტეში ქალისა და მამაკაცის სამართლებრივ და ეკონომიკურ თანასწორობას კანონი განსაზღვრავდა, ქალები ქვეყნის მართვაშიც მონაწილეობდნენ. რობაქიძის „ნეფერტიტის თავი“ ეგვიპტის ლეგენდარული დედოფლის უძლიერეს ექსპრესიულ ხატს ქმნის, ცოცხლდება სახე შინაგანად თავისუფალი იდუმალი ქალისა, იმდროინდელი ეგვიპტის ბედს რომ განსაზღვრავდა.

ქართველი მოდერნისტი მწერალი ახალი ეპოქის ქალისა და მამაკაცის ურთიერთმიმართებასაც აანალიზებს. მისი დაკვირვებით, თანამედროვე მამაკაცი მზით უძღურია, ქალი კი მიწიერი თაა დაღდასმული. თუმცა ორივენი ფლობენ საშინელ ძალას, რომელიც პლანეტარულად ჯერ კიდევ არ გახლავთ დეფინირებული. მწერალი შენიშნავს, რომ „ჩვენ დედამიწის ახალი ევოლუციის წინაშე ვდგავართ, ტექნიკის მეშვეობით შეუმჩნევლად დედამიწის ახალი ევოლუცია ხდება... აქ, თუ სადღაც, ახალი აპოკალიფსი იწყება“ და ქალთა ახალი ტიპების რასა ყალიბდება.

გრიგოლ რობაქიძე ღრმად სწვდება ემანსიპირებული ქალის სულის სიღრმეებს და მის ტრაგიკულ ტონებსაც ზუსტად შენიშნავს. თანამედროვე მამაკაცის ფესვებში მზისძალისმიერი ჩანასახის სისუსტე ქალსაც შლის და ამსხვრევს, მის უჯრედთა სისტემაში მთლიანობა დარღვეულია, – ფიქრობს მწერალი და აქ ქალისა და მამაკაცის უდიდესი ტრაგედიის ფესვებს ხედავს.

ამ ტრაგიზმს მწერლები სხვადასხვაგვარად ასახავენ. ვ. როზანოვის შენიშვნით, ნ. გოგოლი მამაკაცის სახეს გრძნობად კონკრეტულობამდე გადმოსცემს, მაშინ, როცა ქალის ხატი მას არაფრით გამოსდის. მწერლის ამ თავისებურებას რობაქიძე გოგოლის სულის ცნობილი რიტმით ხსნის: ზოგიერთი შემოქმედი მიწის სხეულს ვერ შეიგრძნობს, მისადმი ზიზღსაც კი განიცდის. გრიგოლ რობაქიძის აზრით, გოგოლს არ უყვარს ის, რითაც განსხეულება ხდება. იგი თითქოსდა სქესის გარეშე დგას. ის ამ თემას ან სრულიად უვლის გვერდს, ან მკვდარი ხელით ეხება და არაფერი გამოსდის.

ჰენრიკ იბსენის არნოლდს კი რეალური ქალის, ირენას სახით უყვარს სიმბოლო, ხატი წარმოსახვითი ასულისა, რომელიც ხანგრძლივი, სიკვდილისმიერი ძილისაგან გაიღვიძებს. აქ ილანდება ამგვარი სიყვარულის ტრაგიზმი: არნოლდი ეტრფის მკვდრეით აღმდგარი ირენას ხატს, ნამდვილი ქალი კი, გრძნობად რეალობაში შეყვარებული, დავისწყების წყვდიადს ერთვის.

გრიგოლ რობაქიძე აფასებს მწერალ ქალთა წერისა და აზროვნების განსხვავებულ სტილსა და მანერას. მას იზიდავს ანა ახმატოვას გამორჩეული, ძლიერი ტალანტი, თვითმყოფადი ნიჭი. მისთვის ის არ გახლავთ პოეტი, რომელიც თავის შემოქმედებაში ტკივილს „მამაკაცურად“ მაღავს, პირიქით, ახმატოვას თვითნაბადი ინდივიდუალიზმი ძალზე „ქალური“, ინტიმური და მოუხელთებელია.

NINO KVIRIKADZE

Georgia, Kutaisi

Akaki Tsereteli State University

The Title of Alfred Döblin's Novel *Berlin Alexanderplatz*

The object of study is the title of Alfred Döblin's novel "Berlin Alexanderplatz" as "a montage novel". The term "a montage novel" which originated in German Literature Studies refers to a subtype of the modernist novel, and reflects one of the underlying principles of the culture of XX century – the artistic integrity possessing the properties of montage. As it is known, the title generally plays an essential role in creating and perceiving the integrated unity of any text. Scientists highlight the importance of a title in a literary work. It is considered that the title of a literary work contains the main idea in a condensed form and provides a key to its understanding. However, that holds true only if there is given a complete semantization of the title.

Our purpose is to trace down the development of the title as the movement of a detail in the entire textual space of the novel, in the context of a series of words, to reveal its semantics in separate fragments in connection with the content of the literary work and to underline its leitmotivity.

As a result of the analysis, it becomes apparent that by means of the analysis of the title as a detail in the context of a series of words, there is not revealed a montage principle of reality depiction as in its entirety. The reverse is the case, there is reflected that of a shattered and chaotic reality.

НИНО КВИРИКАДЗЕ

Грузия, Кутаиси

Государственный университет им. Акакия Церетели

К вопросу семантики заглавия романа Альфреда Дёблина «Берлин Александерплац»

Предметом настоящего исследования является заглавие романа Альфреда Дёблина «Берлин Александерплац» как «романа-монтажа». Зародившийся в немецком литературоведении, термин «роман-монтаж» обозначает подвид модернистского романа, в котором воплотился один из главных художественных принципов культуры XX в. – монтажный характер художественного целого. Как известно, заголовок вообще играет существенную роль в создании и восприятии интегрированного единства любого текста. Ученые указывают на значение заголовка в литературных произведениях. Считается, что название произведения содержит в сжатой форме основную идею произведения и является ключом к его пониманию, однако ключом к пониманию произведения заглавие становится лишь при его полной семантизации. Именно значение заглавия для понимания литературного произведения, в особенности модернистского романа – и вызвало наш интерес к данному вопросу.

Новизна работы заключается в том, что заголовок рассматриваемого романа и проблема его лейтмотивного осмысления впервые исследуются в разрезе целостного анализа произведения посредством структурно-семантического метода – по всему пространственному ареалу авторского текста. Основой исследования является теория словесного ряда, введенная В.Виноградовым и разработанная далее структуралистами.

При рассмотрении текста как художественного целого деталь выделяем как подвижный микроэлемент: то, что мы исследуем, является деталью и в то же время движущимся звеном динамической структуры, которое может переходить из одного словесного ряда в другой, образуя «приращенный смысл» (Виноградов).

Наша цель – проследить движение заголовка как детали по всему тексту романа Альфреда Дёблина «Берлин Александерплац», выявить его семантику в отдельных фрагментах текста в тесной связи с содержанием произведения и зафиксировать его возможную лейтмотивность. В результате

анализа выясняется, что именно благодаря исследованию заголовка как детали в словесных рядах высвечивается монтажный принцип отражения не целостной, а раздробленной и хаотичной действительности.

M. I. LAZARIDI

Kyrgyzstan, Bishkek

Kyrgyz-Russian Slavic University

Flavoring image of an Era of a Modernist Style: K. Kavafis and G. Tabidze

Kavafis and Tabidze ... What unites these names in the world literature, philosophical and esthetic thought? What can form the basis for comparison of the poetic masterpieces created by their genius?

Both poets – representatives of modernism, unless the value of poetry are defined by the belonging of the poet to the literary direction? Perhaps, outstanding creations of figures of certain time also allow to formulate the currents of the modern times. Kavafis and Tabidze – are the national poets.

Kavafis is the Greek poet of the Egyptian diaspora who lived the main part of the life in Alexandria, the best-known creation of Macedon. The spirit of philosophy and knowledge, the Alexandria philosophical school and library reigned in this antique city, the most brilliant of Aleksandry created by the famous master. The centuries passed, but the great city was ready to make a new genius. K. Kavafis as the modest official creating from time to time poetic masterpieces probably was full of a desire to unburden the heart, to formulate, the emotions and moods. The attention is thought to be paid to the poetry first of all it amazed the author hardly ranking himself as poets, especially outstanding or ingenious. The poets prophets deliver messages of heaven expressing communication “the word and the sky”.

For Georgia such poet is Galaktion Tabidze, the brilliant representative of modern times, the Silver age. In an assessment of works of the poet the love of the simple people and an appreciation of its poetry was surprisingly combined by sophisticated critics, skilled masters, experts and theorists of literature.

Conversation on poetry will concern the masterpieces created by poets. It is K. Kavafis's “City” and the poem – G. Tabidze's prayer. The originality and

creative height of poets is to be shown on the material of outstanding texts, the philosophical thoughts revealing the soul of creators. The texts of their verses present a decoration of the world literature. Harmony of poetic creations heals soul of the reader, returns to sources of emergence of the Universe.

М.И. ЛАЗАРИДИ

Кыргызстан, Бишкек

Кыргызско – Российский Славянский университет

Вкусовой образ эпохи модерна:

К.Кавафис и Г.Табидзе

Кавафис и Табидзе... Что объединяет эти имена в мировой литературе, философской и эстетической мысли? Что может служить основанием для сравнения поэтических шедевров, созданных их гением?

Оба поэта – представители модернизма, но разве ценность поэзии определяется принадлежностью поэта к тому или иному литературному направлению? Возможно, именно выдающиеся творения деятелей определенного времени и позволяют сформулировать важнейшие черты течений и потоков нового времени. Кавафис и Табидзе – национальные поэты.

Кавафис – греческий поэт египетской диаспоры, проживший основную часть своей жизни в Александрии, самом знаменитом создании Македонского. В этом античном городе, самом блистательном из Александрий, созданных знаменитым властителем, царил дух философии и знаний, Александрийская философская школа и библиотека. Прошли века, но почва великого города была готова произвести нового гения. Им оказался К.Кавафис- скромный чиновник, создающий время от времени стихотворные шедевры, вероятно, тогда, когда хотелось излить душу, сформулировать, вербализовать свои эмоции и настроения. Думается, что внимание, уделяемое его поэзии, в первую очередь изумило самого автора, вряд ли причислявшего себя к поэтам, тем более выдающимся или гениальным. Ведь поэты-пророки, посланцы небес, выражающие связь «слова и неба».

Для Грузии такой поэт – Галактион Табидзе, блистательный представитель нового времени, Серебряного века. В оценке творчества поэта удивительно сочеталась любовь простого народа и высокая оценка его поэзии изощренными критиками, опытными мастерами, знатоками и теоретиками литературы.

Разговор о поэзии коснется шедевров, созданных поэтами. Это «Город» К.Кавафиса и стихотворение – молитва Г.Табидзе. Своеобразие и творческую высоту поэтов хочется показать на материале выдающихся текстов, философских раздумий, обнажавших душу создателей. Тексты их стихов – украшение мировой литературы. Гармония поэтических созданий врачует душу читателя, возвращает к истокам возникновения Вселенной.

JŪRATĖ LANDSBERGYTĖ-BECHER

Lithuania, Vilnius

Lithuanian Culture Research Institute

Modernism as Link to Europeanism in Lithuanian Composer and poet Algirdas Martinaitis Case

Lithuanian culture after 2000 rised from deconstructed stages of post-soviet field. The mainstream of creators ideas were linking to non-sovietic progressive way of euromodernism: „we belong to Europe“. Many composers dedicated their works to adored Europe and its musical topics: J.S.Bach, W.A. Mozart, F.Schubert, F.Chopin, A.Bruckner, R.Wagner etc. They are called New romanticism with names well known in lithuanian music: V.Bartulis, M.Urbaitis, O.Narbutaitė, A.Martinaitis.

The last one is different in „belonging to Europe“. He exposed himself as nature creature with roots from village and forest, full of earth smells, calling for archetypes: birds, insects, animals, trees, water sources. Algirdas Martinaitis creative work in some point oppositioned eurointegrational modernism and transformed itself to ironic link of *pittyfull euromodernism*.

That means: Martinaitis works are speaking about *europianism* as song of pittys, whims and waitings... for barbarians. The tittles of his works are saying: „Serenada for Ms. Europe“, „Europe abduction from Lithuania“, „European period park“, „Euro Job“, „Europeana“, „Little Faustiana“, „Farewell with comrade Mr. F.Schubert“, „Wayting for F.Schubert“, „Wayting for Doctor Faust“, „Wayting for...“, „The bull in Europe“, „The short history lesson for adults“ „The year with a shitt insect...“ etc. All this works are composed after 2000 and based on interesting original experience of life in sountryside. Martinaitis music-poetry work shops are *called mart-sessions*. The euripianism there awaykes itself in discourse with nature and strong old european culture as expressive structural frames with signs and senses.

ANNA LETODIANI

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

For Understanding of Black Color in Terenti Graneli's Art

Any of the colors has certain impact on an individual's emotions, associations, mood. Color perception is associated not only with the physiological, psychological and esthetic response but with the intellectual self-reflection as well. Humans attempt to understand the impact of color through its objectification, as is one of the means of communication, the "language", formed in the ancient period and contains certain information. The language of color systems has refined with time, gained greater depth and load. Currently, the color is considered in various: formal, semantic, symbolic, psychological, biologic etc. respects. Studying of the relations between the colors and human psychic, as well as the issues of colors symbolism is of particular significance. "Human must perceive the color not only by sight but feel it psychologically and symbolically" (Johannes Ten).

Color esthetics is an organic one for any creative process. In this respect, literature and especially, the poetry is distinguished from the spheres of art. For poetry, color is a multi-functional means of expression and emphasizes the author's creative individuality, unique perception of the world. Thus, the colors used in the literary texts worth studying,

The symbolist writers are distinguished with their special attitude to the colors. They became the significant part of their vocabulary to describe the author's condition, emotions, they are even able to express the covered sense of the work.

Terenti Graneli's poetry is of particular interest, with respect of attitude towards the colors. This time, we shall discuss only black color in his art. In our opinion, analyzing of this color in symbolic or psychological aspects would provide new understanding of Graneli's poetry; especially, regarding the fact that in his poems, with respect of colors, black occurs quite frequently.

We shall discuss symbolic load of black color in Terenti Graneli's works on the basis of the theories of J.W. Goethe, V. Kandinsky and M. Luscher, though we take into consideration the other views as well.

ანა ლეთოდინი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

შავი ფერის გააზრებისათვის ტერენტი გრანელის შემოქმედებაში

ნებისმიერი ფერი გარკვეული სახით ზემოქმედებს ადამიანის: ემოციებზე, ასოციაციებზე, განწყობილებაზე. ფერის აღქმა, არა მხოლოდ ფიზიოლოგიურ, ფსიქიკურ თუ ესთეტიკურ რეაქციას, არამედ ინტელექტუალურ რეფლექსიასაც უკავშირდება. ფერის ზემოქმედების გააზრებას ადამიანი მისი ობიექტივაციის გზით ცდილობს, რადგან იგი კომუნიკაციის ერთგვარი საშუალება, უძველეს დროს ჩამოყალიბებული „ენა“ და გარკვეულ ინფორმაციას შეიცავს. ფერთი სისტემების ენა დროთა განმავლობაში დაიხვეწა, მეტი სიღრმე და დატვირთვა შეიძინა. დღესდღეობით, ფერი განიხილება სხვადასხვა: ფორმალური, სემანტიკური, სიმბოლური, ფსიქოლოგიური, ბიოლოგიური და ა. შ. თვალსაზრისით. განსაკუთრებით აქტუალურია ფერსა და ადამიანის ფსიქიკას შორის კავშირის, ასევე ფერთა სიმბოლიზმის საკითხის კვლევა. „ადამიანმა ფერი უნდა აღიქვას არა მხოლოდ მხედველობით, არამედ განიცადოს ფსიქოლოგიურად და სიმბოლურად“ (იოჰანეს ტენი).

ფერის ესთეტიკა ორგანულია ნებისმიერი შემოქმედებითი პროცესისათვის. ამ მხრივ, ხელოვნების დარგთაგან ერთ-ერთი გამორჩეულია ლიტერატურა და განსაკუთრებით, პოეზია. პოეზიისათვის ფერი, გამოსახვის მრავალფუნქციურ საშუალებას წამოადგენს და ავტორის შემოქმედებით ინდივიდუალობას, სამყაროს აღქმის თავისებურებას უსვამს ხაზს. ამდენად, საყურადღებოა მხატვრულ ტექსტებში გამოყენებულ ფერებზე დაკვირვება.

ფერთან განსაკუთრებული დამოკიდებულებით გამოირჩევიან სიმბოლისტი მწერლები. ის მათი ლექსიკონის მნიშვნელოვანი ნაწილი ხდება და ასახავს ავტორის მდგომარეობას, ემოციებს, აქვს ნაწარმოების დაფარული აზრის გადმოცემის უნარი.

ფერებთან მიმართების მხრივ, საინტერესოა ტერენტი გრანელის პოეზია. ამჯერად, მის შემოქმედებაში მხოლოდ შავ ფერთან დამოკიდებულებაზე ვისაუბრებთ. ვფიქრობთ, თუნდაც მხოლოდ ამ ფერის სიმბოლურ თუ ფსიქოლოგიურ ქრილში გაანალიზება, გრანელის პო-

ეზიის ახალი კუთხით გააზრების საშუალებას მოგვცემს. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მის ლექსებში ფერთა გამოყენების თვალსაზრისით შავი საკმაოდ ხშირად გვხვდება.

ტერენტი გრანელის შემოქმედებაში შავი ფერის სიმბოლურ დატვირთვაზე, მის ფსიქოლოგიური ასპექტით გააზრებაზე, ძირითადად, ფერის შესახებ: ი. ვ. გოეთეს, ვ. კანდინსკის და მ. ლუშერის თეორიების საფუძველზე ვისაუბრებთ, თუმცა, გავითვალისწინებთ სხვა შეხედულებებსაც.

Andrea LENA CORRITORE

Italy, Perugia

University of Perugia

**Modernist conceptions of Eros in the reflection of
“boulevard literature”: Evdokia Nagrodkaia’s
novel *The Wrath of Dionisus***

